

0130—1624

საქართველოს
საბჭოთავო
მემორიალი

619

1391



მეხი № 5 1991

მეხი



თბილისი, 26 მაისი, 1991 წელი



დროშა

№ 5. მაისი (653), 1991

**დაგოუქიდეგალი
ყოველთვიური საზოგადოებ-
რივ-პოლიტიკური და სალი-
ტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი**

შინაარსი:

იოსებ ბრიგაზვილი. ბათუმი-
სათვის (ლემსი).

მშვიდობით დერუაგა.

კონსტანტინე გამსახურდია.
ქართველობა და უცხოეთის
გენია. ერთი თავი „დიდოსტატ
კონსტანტინეს მარჯვენადან“.

ოთარ ქინძლაძე. მიწის ყივილი.
დავით დამბრაზვილი. „ციური
არსებების“ მიწიერი ნაკვა-
ლევი.

ნოდარ შამანაძე. ანდერძი (მომ-
თხრობა).

ვასილ გვიტაძე. ორჯონიკიძე
იცინის.

ნუნუ კუკაიშვილი. გაიღეთ
მოწყალება!

ჰარი ტილერი. ცხოვრებისეული
მაგალითი.

ლავრენტი ზიზინაძე. გვიან (სა-
შაფვილო მოთხრობა).

ვფურცლავთ გინესების წიგნს,
უცხოური იუმორი, კროსკორდი.

მთავარი რედაქტორი
ოთარ ქინძლაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბულნარა მახტაძე (ახუხიშვილი-
მღვიანე), ოთარ ბერიშვილი, ვასილ
გვიტაძე, ნათელა ბიორაგოზიანი,
ოთარ დამბრაზვილი, ვახტანგ
მსხვერპია, დინარა ნოდია (მატეარ-
რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.



ეს ლექსი პირველად ქვეყნდება. თარგმანი დაიბეჭდა ფრანგულ ჟურ-
ნალში (1919 წ., № 14), რომელიც გამოდიოდა ელ. ორბელიანის რე-
დაქტორობით. ლექსი წავიკითხე 1919 წელს ბათუმში, ლიტერატუ-
რულ საღამოზე, ბათუმის გენერალ-გუბერნატორის, ინგლისელი ოკუ-
პანტის (კუკოლენის) მუქარის საპასუხოდ.

ი. ბ.

რა შურთ ჩვენი? რომ სამშობლოს სხვას არავის ვედავებით,
რომ სხვა ერთა აზრს ჩონგურს ერთ ტკბილ სიმაღ ჩვენც ავებით,
რომ ვუსინჯავთ ყველა ერსა ხმას, სახის ფერს, კბილს თუ კილოს...
და ამიტომ საქართველო განა უნდა გაიკილოს?

დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ დარაზმა და დაამზადა —
ყველა ჯურის მოღალატე, ვერაგი და არამზადა.

ყველა-მეთქი, ვისაც გულში არ უღვივის წმინდა გრძნობა,
ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს ვერასოდეს დაეგრძნობა
და უნდათ, რომ საქართველო — ეს პატარა ნატერისთვალი,
კვლავ გახადონ სხვისი მონა, მორჩილი და შენამკრთალი.

არასოდეს! ვიდრე ზეცა არ შეწყვიტავს მზის ჩანჩქერებს,
ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს არ მოსპობს და შეაჩერებს.
ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,
არ მოკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს...

საქართველო კეთილია, უწყინარი, ჩუმი, წრფელი,
მაგრამ თუ მის აზიზ სულში აფათურეს ბილწი ხელი...

საქართველოს ყველა უყვარს, იგი ყველას შეიხიზნებს,
მაგრამ თუკი გველაძეებს ჩვენ შევუტყობთ გველურ მიზნებს:

ავზავთდებით ისე რისხვით, ისე მწვავედ, ღრმად, საგრძნობლად,
რომ მტერს ერთ კაცს არ გადგურჩენთ მათი ამბის მოსათხრობლად.

არ იცით რომ იალბუზი შემოსილი ყინვის ლოდით,
საიდანაც ცეცხლის ხორბლებს ჩვენ არასდროს მოველოდით,
დღეს აზვავდა, დღეს ცეცხლს ისვრის, დღეს ყინული დნება... ქრება...
და ყველაფერს, რაც ხელს უშლის, გადალეკავს, ემუქრება...

ჩვენც აგრე ვართ! ჩვენს ზღვა გულში ჩუმი ცეცხლი ბუდობს ჯერე,
მაგრამ თუკი გაგვახელეს? მაშინ, მტრებო, დაგვიჯერეთ,
რომ დავანთებთ ცეცხლის კოცონს, გავაჩაღებთ ცეცხლის რკალებს
და შიგ ჩავწვავთ ყველა ერის პოლიტიკურ მაჭანკალებს..

დე იცოდნენ სხვის სამშობლოს ჩვენ არასდროს შეეხებოთ
და ჩვენსასაც არ დაუთმობთ, რომ გაჰქელონ ტლანქ ფეხებით.

1919 წ.

19727



კვირით „დერჟავა“

ეს დროც მოვიდა.

დამშვიდობების დრო.

მე მგონი აღარ მეშლება.

„დერჟავა“ სულს ლაფავს. იგი აგონიაშია და ამიტომაც გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილაც, გაბედულებაც, გაფაციცებელი პოლიტიკური ალღო შექმნილი ვითარების შეფასებაში.

ღმერთმა ინებოს, რომ მე და „დერჟავა“ ერთმანეთს მშვიდობიანად დავემშვიდობოთ, რომ მან მაკმაროს ის, რაც ამ შვიდი ათეული წლის მანძილზე დამმართა და ჩემს საზიანოდ მოიმოქმედა, ხოლო თავისი ბოროტი იმპერიული ბუნების გამო არც საკუთარი თავისათვის მოუშკია რაიმე ფასეული და ღირებული.

ახლა ეს ყველასათვის ნათელი და ეკვიპოტანელი კემშარიტებაა.

იქნებ ამის გამოც აღმოჩნდა მისი სამარცხვინო გზა ესოდენ ეკლიანი და მოკლე.

მადლობა ღმერთს, რომ უსოდენ მოკლე.

იმიტომ რომ, აღარავის უნდა იძულებისა და ძალდატანების უღელქვეშ ცხოვრება. არა მარტო საქართველოს, არამედ არც თავად რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსიას — ამ სლავური ენებისა და ერების რესპუბლიკებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ბალტიისპირეთზე, მოლდოვასა და სომხეთზე.

აბა, ვის ენდომება „დერჟავა“ და ისიც ვითომდა ნებაყოფლობითი, სადაც უკანონობა, განუკითხაობა, ელემენტარული უფლებობა და სიღატაკე სუფევს. იმიტომ რომ, უკანონოდ შობილი სახელმწიფო არასოდეს შეიძლება გახდეს კანონიერი, ესე იგი სამართლებრივი, ხოლო ხალხი თავისუფალი და უფლებამოსილი.

1918 წელი. 26 მაისი.

მაშინ, იმ ღირსსახსოვარ დღეს საქართველო მეფის-დროინდელ „დერჟავას“ დაემშვიდობა. და საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე თავისუფლებას მოწყურებული ახალი ცხოვრების შენებას შეუდგა. ეს იყო დაკარგული ვინაობის აღდგენის, ახალი გზით სიარულის დაწყებისა და ცივილიზებულ სამყაროში კუთვნილი ადგილის დაკავების ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რომლის გვირგვინია „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეს იყო სუვერენულ უფლებათა მატარებელი სრულუფლებიანი დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს დაბადების დღე, რომელიც სცნეს და მოგვილოცეს გერმანიამ, ბელგიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, ავსტრიამ, ლუქსემბურგმა, მექსიკამ და... 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა.

მაგრამ, მკვდრადშობილი საბჭოური „დერჟავა“, ახალსამოსელში გახვეული და სახეშეცვლილი, მაინც ისეთი იმპერია და „დერჟავა“ აღმოჩნდა, რომელმაც ვერ უღალატა ნებისმიერი იმპერიისათვის ჩვეულ ზრახვებსა და მისწრაფებებს.

თავად სიტყვა „დერჟავა“, რომელიც ხშირად გაისმის ხოლმე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ყრილობებსა და სესიებზე, ხომ იმას ნიშნავს, რომ „დერჟატ“ თავისი რბილნიშნისანი დაბოლოებით, ესე იგი დაიჭი და არ გაუშვავო, ხელი ჩაავლე და მოუჭირო, ძალა იხმარე და მტკიცე კავშირი შეკარო.

ეს არის და ეს.

ასე რომ, არაფერი გასაკვირი და მოულოდნელი არ ყოფილა იმაში, რაც მოხდა.

1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა. მაგრამ იმისათვის, რომ ისევ მკვდრეთით აღმდგარიყო.

და, არ ჩაუვლია ტყუილად იმ განწირულ სულისკვეთებას.

ქართველი ერი არასოდეს შერიგებია სიტყვის გატეხის, ძალმომრეობისა და ლალატის გზით თავისუფლების წართმევას და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას.

ან რატომ და როგორ უნდა შერიგებოდა?

აბა, ვის ენდომებოდა საერთოდ „დერჟავა“ და ისიც ისეთი, სადაც შესაძლებელია თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დატრიალება, ხოლო შემდგომ მისი გამართლება და არსებითად სისხლის სამართლის დანაშაულის გამო აღძრული საქმის ძიებით მოსპობა? სხვაგანაც. ბაქო, ვილნიუსი, რიგა...

აბა, ვის ენდომება საერთოდ „დერჟავა“ და ისიც ისეთი, რომელიც ჩემს მიწა-წყალზე ხელოვნურად შექმნილი ავტონომიების გამოყენებით და იქ მაცხოვრებელთა ამბოხის გზით ეთნოკონფლიქტების კოცონს დაჰმინთებს?

აბა, ვის ენდომება საერთოდ „დერჟავა“ და ისეთი, რომელიც თავისი უკანონო, არსებითად ანტიკონსტიტუციური აქტებით უტიფრად გამიუქმებს ერის მიერ კანონიერად არჩეული ეროვნული პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს და, რომელსაც არაფრად უღირს ხალხის ნება თავისით გადაწყვიტოს საკუთარი ბედი.

ძალმომრეობის კავშირს მომავალი არ უწერია.

იმიტომ რომ, სწორედ „დერჟავა“ არის დესტაბილიზაციის, შეიარაღებული კონფლიქტებისა და ცენტრისადმი შეუპოვრად დაპირისპირებული რესპუბლიკების რეალურად არსებობის მიზეზიც და შედეგიც.

მე რად მინდა ისეთი „დერჟავა“, სადაც დამცირებელი და შეურაცხყოფილი ვარ, სადაც დეზინფორმაციის ობიექტი გამხადეს, რათა სახელი გამიტეხონ და ჩემს წინააღმდეგ განაწყონ ისინი, ვინც საინფორმაციო ბლოკადაში მოაქციეს.

მარტო მე არა ვარ.

არც სხვას უნდა.

არ გაუმართლა „დერჟავას“ რეფერენდუმმა. რაგინდარა არითმეტიკა არ მოიშველიეს, მაგრამ ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა ცენტრს, მაინც არ გამოვიდა. სამაგიეროდ ჩემთან გამოვიდა. საქართველომ სთქვა თავისი სიტყვა.

„ღიას!“

ქართველი ერი და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა მომხრეა იმისა, რომ აღდგეს ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

და იგი აღდგა.

ეს მოხდა 1991 წლის 9 აპრილს, დღის 12 საათსა და 30 წუთზე.

მშვიდობით „დერჟავა“.

ქრისტეანობა | 100 თავსაგურობა



ჩვენ ისეთი გვარისა ვართ,
უკანდანვეს რომ არ სჩვევია

ქართული უცხოეთის ბენია



კონსტანტინე გამსახურდია

ართული ალფაბეტი“.
— მითხრა ერთმა უცხოელმა. ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა,
— „ჩემთვის ჯერაც გამოუცნობი სფინქსია.

მარტო ესთეტიკური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გოტური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზს, კოხტასოებს.

ქართველები ალბათ, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი“.

რაც ზემოთ ნახსენებმა მეცნიერმა კერძო საუბარში მითხრა ჩვენს ალფაბეტზე, იგივე შეიძლება ზოგადად ჩვენს კულტურაზედაც ითქვას.

ქართული კულტურის სახეც, ჩვენთვის ჯერაც ამოცანაა.

კარგი მანძილი გაგვივლია. დღევანდელმა ქართველმა რომ უკან მიიხედოს, ვგონებ თვალსაც ვერ მიაწვდენს ჩვენი ისტორიული ცხოვრების პირველ საფეხურებს. ერთის თვალის გადავლებით ვერც კი გაარჩევს წარსულის ნისლში ჩვენი ისტორიული ცხოვრების კონტურებს.

ცხადია, დიდი ერის ნატეხი ვართ. თუმცა წარსულშიაც არ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ისეთი ბაზისი ახალ იდეათა და მიმდევრობათა, როგორც ძველი ინდოეთი, სპარსეთი, ახალი საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი.

არ ვყოფილვართ ახალ იდეათა ჯვაროსანნი, არც თუ რეფორმატორული მისია დაუქისრებია ჩვენთვის ისტორიას.

ჩვენი ეროვნული ცხოვრების დღეილი ჩვენივე ქვეყნის ზღუდეებს არ გასცილებია...

თუ კერძო ადამიანის უდიდესი იდეალია სოკრატესსებური თვითშეცნობა, მით უმეტეს მთელ ერს.

ამ გაცილებით უფრო ღრმასა და რთულ ფსიქოლოგიურ ერთეულს — მართებს თავისი ძალის სიგრძესიგანის შეგნება, თავისი შემოქმედების ფარგლების ცნობა.

იტყვიან: ამის მიზეზი ქართული ეროვნული ოჯახის, ქართველთა ნათესავის სიმცირეაო.

მართალია, ერთი ერის თანამოზარეთა სიმრავლეს დიდი წილი უძვეს ერის კულტურულ ცივილიზაციურ მუშაობის განაყოფიერებაში, მაგრამ აქ უბრალო პროპორციის კანონების მობოდიშებით ვერას დავამტკიცებთ: განა ძველი ელლადა ყველა თავის მეზობელ ერზე უფრო მცირერიცხოვანი არ იყო?

მაგრამ ილიონის ბჭეებთან აქაველების გამჭკრიახობამ ტროელთა მრავალრიცხოვნობასა სძლია.

რელიგია ჰომეროსისა, მოსგეს, ქრისტესი, მცირერიცხოვანმა ერებმა არ წარმოშვეს?

მრავალრიცხოვანი და პოლიტიკურად ძლიერი იყო რომაელთა საკენსრო. მისი გზატკეცილები დღევანდელ რუმინიამდე უწევდა, მაგრამ უძლიერესს და თავის დროზე ყველა ერებზე მრავალრიცხოვან ერის უდიდესი მგოსანი ვირგილიუსი მხოლოდ საცოდავი ეპიგონი იყო. შედარებით სუსტისა და მცირერიცხოვან ელლენთა ერის ბრმა ნათელმხილველის ((გვულისხმობ ჰომეროსს)), აგრეთვე კულტურის სხვა დარგებში: ხუროთმოძღვრებაში, სათეატრო-სასცენო ხელოვნებაში, მწერლობასა და ფილოსოფიაში რომაელები მიმბაძველები იყვნენ.

ისტორიის იდეალიზაცია ისტორიის ფალსიფიკაციას უდრის. ძნელია ქართულ სპეციფიკურ ფსიქიკაზე დაბეჭიბობით, კატეგორიულად რისიმე თქმა.

ჩვენ კულტურულ ზრდას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენი ისტორიული გზა, ნათელსა და სწორ გზატკეცილს როდი ჰგავს — იგი უფრო უღრან ტყეებში და კლდეღრეებში მავალ შარას მოგაგონებთ, უფსკრულებით რომ გაწყვეტილია აქა-იქ.

სხვა, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში. თაობა თაობას მისდევდა, თაობა თაობას გადასძახებდა ხოლმე თავის ანდერძს, თაობა თაობის მხრებზე იდგამდა ფეხს; ერთ საუკუნეში დაწყებულ სოციალურს, პოლიტიკურს, რელიგიურს და არტისტულ ზრახვათ, მეორე საუკუნეში გამოუჩნდებოდნენ ხოლმე მემკვიდრენი. ერთი თაობის, ერთი გენერაციის მიერ ჩაყრილ დულაბსა და კირს, მახლობელი გენერაცია აწყობდა აგურს. ამ მხრით, ძველი საბერძნეთის, საფრანგეთის ისტორიული ცხოვრება სათეატრო დრამასა ჰგავს, — მოქმედება მოქმედებას რომ მისდევს თანდათანობით და ერთი მეორის შეგვებით, გაძლიერებით, სადაც, ფინალი დრამისა: ლოგიური დასკვნაა ყველა აქტების.

ჩვენი ისტორიული ყოფა კი კინემატოგრაფის სეანსებს მოგაგონებთ, თვალის დახამხამებაზე რომ სწყდება ერთი სურათი და მას სულ სხვა შინაარსი მოსდევს. აბა რა აქვს საერთო XII-სა და XIV საუკუნის ან XII-სა და XVII-XVIII საუკუნის ქართველების კულტურულ ყოფას? „ვარდ-ბულბულიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“, „ქაცვია მწყემსს“ და ჩახრუხადის ოდებს? იშვიათად თუ არსებულა სხვა რომელიმე კულტურულ ერის ისტორიაში ასეთი უფსკრული ორ დიად ისტორიულ ეპოქათა შორის, როგორც იყო XII და XVII საუკუნე ჩვენს წარსულში. ხუროთმოძღვრებას, კაზმულ ხელოვნებასა და საეკლესიო მხატვრობას რომ თავი ვანებოთ, თვით ქართული ენის განვითარებაშიაც საშინელ გრეგრესს ვხედავთ.

თუნდა გრიგოლ ხანძთელის დროის ენა, მკვეთრი და მოქნილი, XVIII საუკუნეში ბრგვნილ. ბარბაროზმებით და უმგვანო ნეოლოგიზმებით აჭრელებულ ლიტერატურულ ქარგონად ქცეულა.

ჩვენი ტერიტორია „ხალხთა ხიდი“ იყო. ჩვენი ისტორიული მისია: ორ შეურიგებელ უკიდურესობათა

და კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს: ევროპის და აზიის სულის შეხამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორ დიდ სამყაროსაგან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნიჟიანების წათელყოფაა.

„ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიაც ქართული სული საესვებით განსახიერდა — აქილევის ფარი, რომელზედაც მთელი მისი თანამედროვე კულტურის სახე მინიატურულადაა ჰეფესტოს ოსტატური ხელით გადმოცემული; ეს დიადი სარკვეც ქართული კულტურის ისეთივე სინთეზია ზემოთ ნახსენებ სამყაროთა, როგორც გოეტეს „ფაუსტი“ ელინნიზმისა და ქრისტიანიზმის. „ვეფხისტყაოსანში“ იპოვით როგორც წმინდა უპანიშიდების, ვედანტა ფილოსოფიისა, საკუნტალას, მაჰაბჰარათას, სპარსულ პოეზიის, ისე ნეოპლატონიკოსების, პომეროსისა და ღვთაებრივ პლატოს სუნთქვას. განა მართო „ვეფხისტყაოსანი“ ყველაფერი, რასაც ქართული კულტურა ეწოდება: არითმეტიკულ საშუალოს წარმოადგენს ელენურ-ბიზანტიურისა და სპარსულ აღმოსავლურ ექსტრემებს შორის. ვიდრე მუსულმანური სპარსეთი და ქრისტიანული ბიზანტია დაემხო-ბოდნენ, ჩვენ უსაშველოდ ვღებულობდით ამ კულტურულ გოლფშტრომებს.

როგორც ზევით ვთქვით, ჩვენ, ქართველებს, ნოვატორების სახელებს ვერავინ მოგვაკუთვნებს, მაგრამ ადამიანობის, კაცობრიობის ისტორია მითაა საინტერესო, რომ ერთა ოჯახში სხვადასხვა ნიჭის ერები შედიან. წარმოიდგინეთ ქარხანა, სადაც მრავალ სხვადასხვა უნარის ოსტატებს თავი მოუყრიათ, ერთს საქმის დაწყება აბარია, მეორე — მესაშვალის როლს ასრულებს. ერთი ინიციატორია: მეორე — კომბინატორი. ერთი ანალიზს აკეთებს, მეორე სინთეზს. ჩვენი ისტორიული როლი შემაერთებლისას ჰგავს. სპარსულ, მცირეაზიურ კულტურას ელინურ-ბიზანტიურთან ვაკავშირებდით და ჩვენ ეროვნულს, სპეციფიურ ქართულ სახესა და ხატს ვაძლევდით ხოლმე.

საკუთარ ნიადაგზე მდგარნი ორ ძუძუსა ვსწოვდით, ჩვენი სამშობლო ორ კულტურულ ნაკადის შემრთველ აუზს წარმოადგენდა.

რელიგია და მისი გაგება ერთგვარი გამოცდაა კულტურული ერისა.

ყოველი კულტურული ერი რელიგიური იყო. ყოველ მაღალხარისხოვან კულტურას რელიგიურ ფუძეზე ჰქონია საძირკველი.



თუმცა ქრისტიანული რელიგია, ჩვენთვის სრულიად არა ნათესავ და უცხო რასის შექმნილი იყო. მაგრამ ქართველი ერის შემოქმედებითი ძალის თავისებურება და მისი სიძლიერე აქაც გამოიხატა. არც ერთ ერს ქრისტიანიზმი ისე არ გაუგია, როგორც ჩვენ. ჩვენთვის ქრისტიანიზმი პოეზია იყო. წაიკითხეთ პავლე ინგოროყვას გამოცემული „ქართული საეკლესიო პოეზია“. რომელი ლიუტერის, ან ფრანცისკო ასისელის საგალობელნი შეედაროს მას.

თამამად შეიძლება ითქვას: არც ერთ ევროპიელ ქრისტიან ერს არ უცდია და არ შესძლებია ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით.

არც ესპანური ფანატიზმი, არც რომაულ-კათოლიკური ასკეტიზმი და დოგმატიზმი ჩვენ სარწმუნოებრივ ცხოვრებას არ ჰხლებია. ჩვენ არ გვახსოვს არც ბათლომეს ღამის საშინელებანი, არც ჰუგენოტები: არც აუტო დაფე.

ჩვენი ბერები მონასტრის კედლებშიც ერის კაცებად რჩებოდნენ, ერისთვის, „სოფლისათვის“ ზრუნავდნენ. მოიგონეთ გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი, კლარჯეთის მაშენებელნი.

თვით უდიდესმა რელიგიურმა რეფორმატორმა ლიუტერმა ვერ შესძლო გალილეაში შობილ უდაბნოს რელიგიის ვარდ-ყვავილებით შე-

მოსვა. ქართველობა კი ისე ვიღოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ იმავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აშორებდა.

ქრისტიანიზმი — ეს ცხუნვარე აზიის უდაბნოდან წამოქროლილი ქარი, მთელ ინდო-გერმანელ ერების კულტურას განადგურებას უქაღდა. არსებითად კოსმოპოლიტურ პრინციპებზე დაფუძნებული სარწმუნოება სემიტურ ნათესავისა, მოსისხლე მტერი ყოველგვარი თავისებურობის, კუკურშივე აჭკობდა ყოველ ქეშმარიტ ნაციონალურ კულტურის ყლორტებს. ერთა ქალისის ეპოქაში — კათოლიციზმმა დიდი რომის საკეისრო შეიწირა, როგორც რომაელთა, ისე გერმანელ ტომის ხალხებს დიდი და თავგამოდებით ბრძოლა დასჭირდათ, ვიდრე ამ სარწმუნოებას ნაციონალურ დარჯაქში გაატარებდნენ და თავისებურ სახეს მისცემდნენ.


ჩვენს ეროვნულ სხეულში კი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა ელენური კავშირი.

ჩვენში დიონისე დიონისეს სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობდა.

ჩვენი ეროვნება სწორედ დიონისესა, ქრისტე-ნაზარეველსა და ზარატუშტრას შორის დადგომამ იხსნა. ეს გასაოცარი დუალიზმი ჩვენი სულისა და ჩვენი ბუნებისა: უებარ მაღამოდ ეწამლა ჩვენსავ ეროვნულ არსებობას.

ბოლოსჯერ პოლსტანში პარკინა

ერთი თავი რომანიდან



მხ. თენგიზ სამსონაძე

რმის მყვირალობა ჭერ შორს იყო, მაინც დაეხეტებოდნენ. თრიალეთის ტყეებში გლახუნა და პიპა.

მეტნაწილად მეჭოგეების კარვებში ათევდნენ ღამეს, ხანაც ერთ ნაპარტახალ ქოხს შეეხიზნებოდნენ სოფელ იწროში.

ხმას არავის სცემდნენ, არც თუ ვისმეს უმხელდნენ თავიანთ ვიხაობას.

ერთ დღით, მეჭოგის კარავში მწოლარე, ირმის ბლავილმა გამოადვილა ავშანისძე, გლახუნა. წინადღის ნარბენს ისე მაგრად მოჰკიდებოდა ძილი, მცხეთის სასახლეში ეგონა თავი.

გვერდი იბრუნა და გახაგრძო თვლები.

მეორეჯერ დაიკუნა ირემმა, შეკრთა და წამოვარდა მძინარე.

პიპა გააღვიძა საჩქაროდ, ყურში აიყოლიეს და მიჰყვნენ ირმის ბლავილს.

უშიშარაისძე უძაღლოდ მიდიოდა. სწორედ იგი გადააწყდა ბარს, ესროლა ისარი, მაგრამ დააცდინა. გლახუნა ფურს გამოუდგა. ლომისფერი იყო იგიცა, ზედმიწევნით ჰგავდა ნებიერას.

ნაშუადღევამდის სდიეს ირემს პატრონმა და ძაღლმა, ორგზის შემობარუნა მადევარმა, ბოლოს დაეცა დაჭრილი ნადირი.

როცა გლახუნა მიეახლა, იგი იწვა მუხლებზე დაჩოქილი, დრუხხი მიწაზე დაედო და საწყალობლად ხენწოლა ფური.

მონადირეს უნდა მოეკლა წესისამებრ. სატევარი იძრო. მაგრამ ისეთი მშვენიერი და უმწეო იყო ცხოველი, ისევე ჩააგო გლახუნამ იარაღი ქარქაშში.

ქარაფზე გადადგა, უძახა უშიშარა-

ისძეს, აღარსად სჩანდა იგი. ახლა ხეზე გავიდა, უყვილა, უსტვინა. ამაო იყო ყოველივე.

იფიქრა: ავიყვანო ხელში, მოეჭიდა ირემს, მართლაც ატარა ძვირე მანძილზე. ბოლოს ეტვინა ნადირს ჭრილობა, დაიბღავლა, ორივენი დაეცნენ მიწაზე.

სწორედ ამ დროს ნაწლავები გადაესკვნა გლახუნას. წამოდგომა დააპირა, წელი ვერ გამართა.

თავი მიაღო ჭერაც მსუნთქავსა და ტფილ ცხოველს, იამა მისი სააშურს სუნი.

სიკვდილი მოვიდაო, გაიფიქრა, თანაც იგონებდა შორენას, იმ რამდენიმე ბედნიერ წუთს, კვეთარის ციხეში გატარებულს.

ბოლოს მოუსწრო პიპამ, ბავშვივით აიყვანა მომაკვდავი მეფე, ირემი ტყეში დასტოვა და ძლივს მიათრია იწროში.

უშიშარაისძეს აგრე ეგონა: ძარღვი გაესკვნათ უბრალოდ.

გახადა სამოსი, გაოცდა, როცა ნახმლევიებისაგან დაჩეხილი სხეული ნახა. სავსებით ახალგაზრდა ვაჟაკის სხეული.

უხელდა მუცელს, მაგრამ შენიშნა, უარესად ხდებოდა მეფე.

მკვდრისფერი დაედო სახეზე, თვალები დახუჭა, მერე ისევ შეუწითლდა ლოყები, თვალები გაახილა და ეუბნება პირაღმა მწოლარე:

„ამ სახლში ხომ არავინაა შენს მეთი, პიპა?“

„არავინაა, მეფევ ბატონო.“

„კარგია, პიპა, შენს მეთი რომ არავინ დაესწრო ჩემს სიკვდილს.“

„რა დროს სიკვდილია, რასა ბრძანებთ, მეფევ ბატონო?!“

„არა, ჩემი დღენი დათვლილია უკვე. მიწია გველისფერი წმინდა გიორგის რისხვამ. მე მივდივარ ამ

სოფლიდან, პიპა, უამბე ჩემი ნათხრობი, ვინც მომივითხოვს, ყველას, ბაგრატ უფლისწულსა და უკახასკნელ მესამოსსაც უამბე, პიპა.

მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა, მიტარებია. ვაჟაკიც ვიყავი და მშიშარაც. კეისარს ვებრძოდი და მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მილატრნია. პიპა.

ჩვენი უბედურება ამჟამად ეგაა: ჩვენი მოლაღატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოლაღატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებს ჰყავდათ შესუდილელი, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოლაღატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გამარჯვებინებს მას.

ბასიანთან აზნაურებს რომ არ ელაღატნათ, იქაც ვძლევი ბასილი კეისარს, იცოდე.

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა, რადგან ჭერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მსტოვარებს.

სიყრმე და სიკბაბუკე საქართველოს შევალე, მაგრამ ქართლელები „აფხაზს“ მებძნდნენ, ხოლო აფხაზები — „ქართლელების მსტოვარს“ მიწოდებდნენ ბაგრატივანს, ლაზს.

დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ, პიპა, ჩვენი ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა.

მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარა პაპაჩემი — გურჯენ მაგისტროსი. მამაჩემი — ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხი აზნაურებს ბაძავდა, პიპა, ამიტომაც მშვენიერს „უცხოს“ უწოდებდნენ, კარგ ქართულ თხილს „ბერძნულს“, ხოლო საუკეთესო ცერცვსაც „ბერძნულს“.



სიმთვრალეში კარგი ვაჟაკები ვართ და კარგი რიტორები, პიპა, ეგაა ოღონდ — სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდაცობა სიმთვრალეში გვევიწყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადები უკვე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ.

მეც მჭირდა ეგ სენი, პიპა, სიმთვრალეში მოვაკვლევიანე ფხოველებს დედიჩემის დისწული გირშელ, თრიაქით მთვრალმა.

ოღითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნიოთ, როგორც დაკოდილქერას ყვავები“.

მცირე ხანს დადუმდა თვალდახუჭული, უცნაურად დაემანჭა სახე. ისევ გადაედო მკვდრისფერი, მერე გაახილა თვალი და ეუბნება უშიშარაისძეს:

„ახლა ადგიქი, პიპა, მღღელთავანი მომგვარე ვინმე, არ მიყვარს პამპულა ეპიზოპოზები, უბრალო დიაკვნის პუტუნე მენატრება, პიპა“.

გავიდა უშიშარაისძე, ვილაც ახმახი დიაკონი გამოსძებნა სოფელში.

როცა გიოგის სამყოფლოს მიეახლა, გამოექცა დიაკონს, სვეტს მიეყრდნო და ზღუტუნებდა ეს ვეება ვაჟაკი ბნელში.

თავზე წამოადგა დიაკონი მომაკვდავს, ცალ ხელში დავითხი ეჭირა, ცალშიაყ ანთებული კელაბტარი და პუტუნებდა:

ღმერთო სულთა და ყოველთა ხორციელთაო, რადგან სიკვდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე და ცხოვრება სოფელსა მიახიქე, შენ უფალო, განუსვენე სულსა მონისა ამის შენისასა (სახელი და გვარი გამოსტოვა, რადგან არც კი იცოდა, ვის უკითხავდა სულთათანას) ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანისლოვანსა, ადგილსა განსასვენებელსა, სადა იგი არა არს საღმობაი, მწუხარებაი და სულთქმაი და ყოველნი ცოდვანი ამის მიერ ქმნილნი საქმითანი, სიტყვითანი და შოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან შეუენდნენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელიც ცხოვრდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა ხარ და სიმართლე შენი სიმართლეა საუკუნო და სიტყვა შენი ქეშმარტი.

გიორგი იწვა გულზე ხელდაკრეფილი, ხოლო ზემო ტუჩი უტოკავდა ნელა, სულ ნელა, თითქოს ეჩურჩულებათ ვილაცას.

წაიბუტბუტა:

„მომიცადე, დედა!“

პიპას ზღუტუნე შემოესმა გარედან, თვალი გაახილა, დიაკონი უშიშარაისძე ეგონა, ხოლო ანთებული კელაბტარი — ცეცხლის მტრქვეველი ხმალი, ეუბნება:

„რა გატირებს! დამკარი, შე უღმერთო, ეგ ხმალი, ბარემ გათავდეს ეს ცხოვრება. პიპა“.

ეს იყო მისი უქანასკნელი სიტყვები ამქვეყნად.

როცა ქუთაისში ასაფლავებდნენ მის ცხედარს, საშინელი წვიმა იყო და ქარი ჰჭროდა.

პირველად ერთ მესაფლავეს წამოსცა სიმართლე მისი უთავებამო და ბოზოქარი ცხოვრების გამო.

როცა მოტირალეები დიდებულეები და მოსიერენი წავიდ-წამოვიდნენ, მოხუცმა მესაფლავემ ეს უთხრა ახალგაზრდას:

„არც სიკვდილში ჰქონია გიორგი მეფეს ბედი“.

მინის ყივილი

ფიქრები ერთი საგაზეთო პუბლიკაციის გამო

ახლა კაცს. ამ აბობოქრებული და აფორიაქებული წუთისოვლის მაცხოვრებელს, საფიქრალს რა გამოუღვეს.

— ბაწა-ბაწა ყველას გვიჭირსო, ყაბალაზიან გურულს რომ უთქვამს, იქნება მართალიც იყოს ეს, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, გასაჭირი არც თუ „ბაწა“ აღმოჩნდა. სხვას იქნება უფრო მეტადაც უჭირდეს, მაგრამ ყველას თავისი საფიქრალი აქვს, საზრუნავიც და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზაც ყველამ თავისი უნდა ეძიოს. ეძიოს და იპოვნის კიდევ. არ არსებობს ისეთი გამოუვალ მიდგომარეობა, საიდანაც გამოსავალი არ მოიძებნებოდეს. ჭკუა უნდა ატანო კაცმა ყველაფერს და საქმე აკეთო. ნაღდი საქმე, ისეთი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ სახლში წესსა და რიგს დაგიმკვიდრებს.

ასე მგონია მე. ეს ფიქრები ერთმა საგაზეთო პუბლიკაციამ აღმიძრა. გაზეთი „იზვესტია“, № 59, 11 მარტი, 1991 წელი. კარგა მოზრდილი წერილი სათაურით „დუხობორები: დაბრუნება საუკუნეების შემდეგ“. ავტორი ა. პუშკარი, რომელიც ტულის ოლქის ჩერნსკის რაიონში ჩასულა და იქ, სოფელ არხანგელსკოეში საქართველოდან ჩასული, ესე იგი რუსეთში საცხოვრებლად დაბრუნებული, დუხობორების ყოფას გასცნობია.

ცხადია, ჩემი სათქმელი ის არ იქნება, რაც საქართველოდან წასული ამქაბინდელი ტულები დუხობორების იქ ცხოვრებას შეეხება. იმიტომ რომ, ამის აღწერა ჩემი საქმე არ არის.

ჩემი ყურადღება იმან მიიპყრო, იმან დამაინტერესა და განმაცვიფრა კიდევ, რომ რუსეთიდან ქართულ მიწაზე ოდენსაც დასახლებული რუსი ეროვნების სექტანტი დუხობორების საქართველოდან ისევ რუსეთში ნებაყოფლობით დაბრუნების თავად ფაქტში, ჩემმა უცნობმა რუსმა კოლეგამ ისეთი რამ დაინახა, რასაც, სამწუხაროდ, ბევრი მისი თანამემამულე და თანამოკალმე ვერ ხედავს და, სავარაუდოა, არც უნდა დაინახოს. კერძოდ, არ უნდა დაინახოს, რომ მისი მშობლიური „დერეჟავა“ ავად არის და ასე ჰგონია, თითქოს სნეულს არაარუსი ერების მორჩილებაში ყოლა განკურნავს. სხვასაც ასე ჰგონია. ამის დასტურია თუნდაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალით თუ ნებით გაერთიანებული ერებისათვის „ციენტრის“ მიერ თავსმოხვეული საკავშირო რეფერენდუმი და სამოკავშირეო ხელშეკრულება, თითქოსდა ამ ხელოვნურად შექმნილი არაბუნებრივი კავშირის შენარჩუნება განკურნავს დასნეულებულ „დერეჟავას“.

ჩემი სათქმელიც ის არის, რომ მინდა გვერდში ამოვუდგე კოლეგას, რომელმაც ფხიზელი თვალითა და ცივი გონებით დაინახა თავისი ერის დიდი გასაჭირი, ხოლო მუარუსეთის ერთ მიტოვებულ სოფელში საქართველოდან რუსი დუხობორების დასახლების თითქოსდა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტს, განზოგადებული შეფასება მისცა და იგი, როგორც „მიწის ყივილი“ აღიქვა.

ეს არის და ეს. მაგრამ, მანამდე ცოტა რამ ამ საგაზეთო პუბლიკაციიდან.

დავიწყებ ავტორისეული წინასიტყვიდან, რომლის პირველსავე სტრიქონებმა გამაკვირვა. კაცი ხარ და ნუ გაიკვირვებ.

რუსი ა. პუშკარი წერს და მე, ქართველი ვკითხულობ: — „ამ შფოთიანსა და სისხლიანი მოვლენებით აღსავსე დღეებში, როცა რუსები სხვა რესპუბლიკებში ცდილობენ დაიკვან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესები, განცალკევებულად გამოიყურება კავკასიელი დუხობორების რუსეთის მიწაზე ნებაყოფლობითი გადმოსახლება და მათ მიერ ლ. ნ. ტოლსტოის სახელობის კოლმეურნე-

ობა-თემის შექმნა. პირველად ჩერნსკის რაიონის ისტორიაში, რომლის მოსახლეობა ომის შემდგომ წლებში 120 ათასიდან 22 ათას კაცამდე (მათ შორის 40 პროცენტი პენსიონერია) დაეცა, დაიწყო მატება — გასულ წელს 500 სულთ“.

მართალი გითხრათ, აი ამან წამაკითხა და ისიც ბოლომდე დაძაბული ყურადღებით, ა. პუშკარის ვრცელი დუხობორული პუბლიცისტური წერილი.

აქ, ამ პუბლიკაციაში, ბევრი რამ ნაცნობია, მაგრამ მთლიანობაში, ცნობილიც საკმაოდ საინტერესოდ იკითხება და, ცხადია, მით უფრო უცნობიც, რაც ხშირად ავტორისეული გულამოსკვნილი განსჯითაც არის ხოლმე შეზავებული და ბევრ სადღეისო საფიქრალსაც აღძრავს. ყოველ შემთხვევაში, ჩემში მაინც, და იქნებ, არა მარტო ჩემში.

მაშ ასე. პუბლიკაციის ავტორს ძალიან აინტერესებს ის, თუ რატომ დასტოვებს დუხობორებმა, ამ „სულისათვის მებრძოლებმა“, რომლებიც 1841 წელს ახალქალაქის მახარაში გადმოსახლეს, საქართველო. მართლა ნებაყოფლობით, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო.

მეც ყურადღებით ვადევნებ თვალს მის მსჯელობას და განვავარძობ კითხვას.

აქაური კოლმეურნეობა სოფელ გორელოვკაში წელიწადში 5 მილიონი მანეთის მოგებას იძლეოდა. ამიტომ, შემოსავალიც საკმაოდ ჰქონდათ. ყველას საკუთარი სახლი, საკარმიდამოც; ორ-ორი ძროხა, ბლომად ცხვარი და გარდა ამისა, ქვის გათლა-დამუშავება, მშენებლობა... ყველაფერი ეს კი სურსათიცაა და ფულიც. და კიდევ ქართველებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

მაინც წავიდნენ.

ტულის ოლქი, ჩერნსკის რაიონი, სოფელი არხანგელსკოე, იგი კვდებოდა. 1975 წელს დაიხურა სკოლა, სადაც 400 მოსწავლიდან მხოლოდ 28 დარჩა. დაინგრა კლუბი. დაიკეტა მალაზია. გაუვალნი გახდა გზაც. 150 კომლიდან სოფელს 9 შრომისუნარიანი მაცხოვრებელი შემორჩა. ყველასაგან მიტოვებულ სოფელს დუხობორები არ შეუშინდნენ. პირიქით, სწორედ ასეთს ეძებდნენ. მოეწონათ აქაური ბუნება, ტყეები და განსაკუთრებით კი ის, რომ ძველად აქ ლეე ტოლსტოის, მათი დიდი ქომავის, მამული ყოფილა.

პირველად 38 მამაკაცი და რამდენიმე ქალი ჩასულა. შემოდგომა იდგა. მაგრამ უკვე ყინავდა. მიუხედავად ამისა, აღდგა გზა, მალაზია, ელექტროგადამცემი ხაზები, საბავშვო ბაღი, სკოლა, გაზსადენი. ახლა იქ 60 ოჯახი სახლობს, შენდება საცხოვრებელი სახლები ჩამომსვლელთათვის. დუხობორების განკარგულებაშია 3.876 ჰექტარი სათესი მიწა და ჯერჯერობით 313 ძროხა.

დაცარიელებული და გააპრტახებული არაშავნიად-გიანი ზონის რუსეთი ცდილობს, თავი მოუყაროს თავის დაბნეულ შეილებას. ამას წინათ, რაიონში ჩასულა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს კომისია. აქ მზად არიან გერმანიიდან დემობილიზებულ სამხედრო მოსამსახურეებს დაუთმონ მიტოვებული სოფლები და უზრუნველყონ ისინი ნებისმიერი სამუშაოთი.

დიდია დაცარიელებული რუსეთი.

ხოლო, როგორც ა. პუშკარი წერს, — „რუსები სხვა რესპუბლიკებში ცდილობენ დაიცვან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესები“.

და, არა მარტო რუსები, სხვებიც რატომ?

მე კი აქ, ამ წარმოუდგენელი სივიწროვის გამო, ძლივს ვადგამ ფეხს ჩემს მიწაზე და იმასაც სხვა მედავება.

მე თუ მკითხავთ, ყველა თავის სახლში უნდა დაეტიოს და ეს სახლი იმ მიწაზე უნდა იდგეს, რომელიც მას ეკუთვნის, არ ექნება მაშინ ადგილი არც ეთნოკონფლიქტებს, აღარც იარაღსხმული „ცენტრის“ ჩარევა გახდება საჭირო და არც ცბიერი ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის უნაყოფო ზრუნვა.

აი, რას წერს ჩემი რუსი კოლეგა და რატომ ვკითხულობ მე მის უწერს ესოდენ დაძაბული ყურადღებით:

— „რაც უნდა არაადიპლომატიური იყოს ეს, ხოლო შესაძლოა, უღობველიც, მე მაინც მინდა, რასაც ვფიქრობ, ვუთხრა იმ რუსებს, რომლებიც ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი უფლებები და პოზიციები დნესტრისა და დაუგავას ნაპირებზე და ამასთან სწყინთ, რომ რუსეთი არ უწყევს თავის თანამომხეებს გადამწყვეტ დახმარებას: სხვა ხალხებთან ურთიერთობის გარკვევას, ხომ არ აჯობებდა რიგიანად დავფიქრებულიყავით იმაზე, თუ როგორ მოვაწყუთ საერთო ძალებით რუსეთი? დაგვიანებულივით მეჩვენება მე ეს „მიწის ყვილი“ მით უფრო, რომ ა. პუშკარი შემდეგ წერს:

— „თითქოსდა სარკეში, ისე შევხედე მეც დუხობორებთან ჩემს თავს. ჩემს წინაშე რუსები იყვნენ, მაგრამ არ გვგავდნენ ჩვენ, რუსებს, იმ ძვირფასი თვისებებით, რომლებიც ოდესღაც გავვაჩნდა. იმით, რაც დავკარგეთ თავგზაბანეულებმა რუსეთისათვის უცხო დომებებისა და კანონების დამკვიდრებით. და მე ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ მოვედით ჩვენ, უბოროტონი, მშვიდობისმოყვარენი, სინდისიერნი, თავმდაბალნი, მუყაითნი ასეთ ცხოვრებად? საიდანაა ეს — ჩვენი სიმხეცე და ჯალათობა, ჩვენი წუნი წარმოებაში, ჩვენი დამტაცებლობა და ლობობა, დედის გინება და „დედოფშიჩინა“? მაგრამ ვინ დავადანაშაულოთ ამაში? მარქსიზმის კლასიკოსები? უხეში წინასწარმეტყველები ბატონიშვილებიდან და მღვდლი-შვილებიდან, სწავლა დაუმთავრებელი სტუდენტები და სემინარიელები? მათ არ იცოდნენ გლეხი, მუშა, ვაჭარი რუსი ხალხი და სძულდათ იგი“.

მართალია ეს.

მე შემძრა წაკითხულმა. შემძრა სასოწარკვეთამდე მისულმა დიდმა ეროვნულმა ტკივილმა. მაგრამ, მის გასაყურებელ მალამოს თავად რუსმა ხალხმა უნდა მიაგნოს. თვითონ, საკუთარი თავითა და ხელებით, საკუთარსავე მიწა-წყალზე, რამეთუ ერი მხოლოდ საკუთარ სახლშია ღონიერი, მართალი და მაღალი ზნეობის მატარებელი.

ჩემის ღრმა რწმენით, რუსეთი ამ მდგომარეობამდე საკავშირო მასშტაბებით თამაშობანამ, რუსული ეროვნული ნიადაგის არარუსულით შევსება-გაფართოებამ და ყოველივე ამის გამო, რეალური ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვამ მიიყვანა.

არ გამოდგა მტკიცე საბჭოური „მძლე კავშირი“.

ეს ფაქტია, მაგრამ, პუბლიკაციის ავტორს სხვა რამ აწუხებს. კერძოდ:

— „ნუ დავიწყებთ ფარული მორალური მიზეზების ავან-ჩავანის გამორკვევას: სწორი ვიყავით თუ არა ჩვენ, როცა წინაპრების მიწა-წყალი მივატოვეთ? საქმე ის არის, რომ რუსეთი ავადა და თქვენ კვიანებს, ყოჩაღებს, შეგეძლოთ დღეს გამხდარიყავით აქ სრულფასოვანი ფერმერები, მეწარმეები, შეგექმნათ ჩვენი გადამრჩენი ბაზარი“.

მე ამ სიტყვებშიც „მიწის ყვილი“ მესმის. მშობელი მიწა უხმობს საკუთარსავე შვილებს საშველად, რამეთუ „ინგრევაო ყველაფერი, — წერს ა. პუშკარი — ხოლო ახალი საქმარისად არ აშენებულა. რუსული შავნიად-გიანი მიწა მომაკვდავ უდაბნოდ იქცა. ვაცვეთილი, ერთიანად გაითიხნო. გაბინძურებული მიწა — ტოლსტოის, დოსტოევსკის, ესენინის მიწა“.

საოცარი კია, რომ ამ დიდებული მამულიშვილების დღევანდელ მემკვიდრეებს არ ესმით თავისივე ავადმოფი „მიწის ყვილი“ და ასტაფიევეები, რასპუტინები და მათი ამყოლი ზოგიერთები მე მასწავლიან კჟუას, მე მეუბნებიან ავად ხარო, მე მადანაშაულებენ იმაში, რაშიც თითონ მიუძღვით ბრალი. ხოლო, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ თავს მიხედონ, მე მიგზავნიან დიდაქტიკურ ღია წერილებს, აქებებენ ჩემს შინაურ მტრებს და ისევ იმ კავშირისაკენ მიხმობენ, რომლის მსხვერპლიც ჩემთან ერთად, თითონაც არიან.

მე ეს მათებს და მწყინს კიდევ თუნდაც იმიტომ, რომ „ცენტრი“ მათი მეშვეობითაც უტიფრად აფათურებს ხელს ჩემს შინაურ საქმეებში, იმიტომაც, რომ რუსეთი ჩემი მეზობელი სახელმწიფოა და ორივენი უანგარო მეგობრობისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ. ისეთისაკენ, რომელიც გამოავლინა საქართველოს რესპუბლიკისა და რსფსრ-ის ხელმძღვანელთა ამასწინანდელმა შეხვედრამ. იმიტომაც, რომ მე ტოლსტოის, დოსტოევსკისა და ესენინის პატივისცემელი კაცი ვარ და ვერაფრით ვერ გამოვიგია, თუ რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს რუს კაცს იმან, მე რომ საქართველოში მაცხოვრებელი თვითმარქვია აფხაზი და ოსი ამიმხედროს.

არადა, მე ხომ მაინც ვიცი ვის იმედად „აფხაქურდენ“ ეს ჩემი ცოდვით სავსე აქაური ბინადარნი.

ჩემს თვალწინ ახალი რუსეთი იბადება. მე ეს ა. წ. 17 მარტის რეფერენდუმის შედეგებშიც დავინახე და რსფსრ-ს სახალხო დემუტატთა ამასწინანდელი რიგარეშე ყრილობის გადაწყვეტილებებშიც. იბადება დამოუკიდებელი, დემოკრატიული, საქართველოს მეგობარი რუსეთი, რომელიც თავის შვილებს თავისკენ უხმობს და ურჩევს, რათა ისმინონ „მიწის ყვილი“.

ეს ყვილი სხვამაც უნდა გაიგონოს. თავისი „მიწის ყვილი“. ხოლო, განსაკუთრებით კი იმან, ვინც ა. წ. ჟერ 17, მერე კი 31 მარტს აჩვენა, ვინ არის ვინ, ფალსიფიცირებული აფხაზური და ოსური რეფერენდუმებისათვის მხარი მაშინ სომხებსაც დაუჭვრიათ. ზოგიერთი მათგანი, მერე არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მსურველი ყოფილა და ესეც გამოაშკარავდა. ჩვენი ყველაზე ერთგული კი, მაინც აქაური უპრეტენზიო რუსი აღმოჩნდა, რაც მეტად ანგარიშგასაწყევი მნიშვნელობის ფაქტია.

ახლა რა ვქნათ?

ისე გამოდის, რომ ვილაციებს კიდევ უნდათ ჩემს სახლში და ჩემთან ერთად ცხოვრება და არც უნდათ. მინდა-არმინდაში ერთ-ერთი უნდა აირჩეს. მე ხომ ძალას არავის ვატან. დუხობორების მაგალითიც აგერ გვაქვს და მათი „მიწის ყვილი“ სხვამაც ისმინოს, ხოლო ვისაც სმენა დაქვეითებული აქვს, ხმის გამაძლიერებელი საშუალებაც გამოინახება.

მალამაღ მღერითმა კარგად უწყის, რომ მე არავინ დამირბევია, არც ამიყრია და გადამირეკია. ისე, როგორც ეს ზოგან მოხდა. მიუხედავად ამისა მაინც მითხრეს „მცირე იმპერია“ ხარო. რას იზამ? მაგრამ, იმას მაინც ვერავინ უარყოფს, რომ მე ჩემს მიწაზე ვცხოვრობ, ჩემს სახლში და სხვას არ ვეპოტინები. ნურც სხვა მეპოტინება, სხვამაც ისმინოს თავისი „მიწის ყვილი“ და მასაც აღედრას ფიქრები იმ ერთი საგაზეთო პუბლიკაციის გამო, რამაც ეს წერილი დამაწერინა.

ხელი დამიძახეს. გამო-
მგლვიდა თუ არა. მაშინვე
მუხლებში ჩავუვარდი.
„ნუ გეშინია ენუქი. —
მითხრეს მათ. — უკვ-
დავმა ბატონმა გამო-
გვგზავნა შენს წასაყვა-
ნად. ოჯახს დაუბარე შენს
არ ყოფნაში როგორ უნ-
და მოიქცენ, ოღონდ,
ძებნას ნუ დაგიწყებენ.
უკვდავი ბატონი თვითონ
დაგაბრუნებს“.

ასე იწყება ენუქის აღ-
სარება.

გარკვეული დროის
შემდეგ უკან დაბრუნე-
ბული ენუქი თავის შვილს
მეტუხალემს უკარნახებს
და ჩააწერინებს ყველა-
ფერს, რაც უკვდავ ბა-
ტონებთან ნახა და მოის-
მინა.

ენუქის წიგნში ჩვენ-
თვის საინტერესო რა წე-
რია?

პირველ-ხუთ თავში
სამყაროს განკითხვის
დღეზეა საუბარი. ავტო-
რი ამტკიცებს, რომ ცის
ღმერთმა დასტოვა თავი-
სი სამყოფელი.

6-16 თავებში „გან-
დევნილი ანგელოზების“
(ანუ კოსმონავტიების)
ამბავია აღწერილი. მათ
ღმერთის (ანუ სალა-
ნეტაშორისო ზომალდის
კაპიტანის) ბრძანება და-
არღვიეს. ამ თავებში
„განდევნილი ანგელოზე-
ბის“ სახეებიცაა მითი-
თებული.

17-36 თავებში ენუქის
სხვადასხვა სამყაროებში,
შორეულ პლანეტებზე
მოგზაურობის ამბავია
მოთხრობილი.

37-71 თავებში ე. წ.
„ხატოვანი საუბრები“.
ანუ „უკვდავი ღმერთის“
ჩრევები და დეტალურად
ჩამოთვლილი.

72-82 თავებში მზისა
და მთვარის მოძრაობის
ტრაექტორიის, ვარსკვ-
ლავებისა და ციური მე-
ქანიკის განსაკვივრებ-
ლად ზუსტი აღწერაა მო-
ყვანილი.

მომდევნო თავებში
ენუქისა და მისი შვილის
საუბარია. რომელშიც

ენუქი მომავალ წარღვნას
წინასწარმეტყველებს.

პირდაპირ გასაოცარია,
თუ ძველ აღთქმას დავუ-
ჭერებთ. წარღვნის შესა-
ხებე პირველად ნოეს შე-
უტყვიანო. როგორც ჩანს,
პირველი მაინც ოთხი
გენერაციის ადრე მცხოვ-
რები ენუქი გახლდათ.

შემდეგ ენუქი ჩამო-
თვლის ამ ანგელოზების
დედამიწაზე დადებით და
უარყოფით საქმიანობას:
პირველი, ვინც „ანგე-
ლოზებიდან“ დედამიწა-
ზე ფეხი დადგა და ქალი
შეაცდინა, იეჰუნი იყო.
ასბელი ყველას გარყვნი-
ლებისაკენ მოუწოდებდა.
გაბრიელმა ადამიანებს
სამხედრო აღჭურვილო-
ბა — ფარი, მახვილი,
შუბი უჩვენა და მათი
საშუალებით სასიკვდი-
ლო კრილობის მიყენე-
ბის ხერხებიც გააცნო.
რემენუემ ადამიანები
ტყბილისა და მწარის
გარჩევას შეაჩვია. სხვა-
დასხვა სიბრძნე, მათ შო-
რის, წერა-კითხვა შეას-
წავლა. ასევე შეასწავლა
ადამიანებს ასაელმა სა-
ხის მოხატვა, სამაჭურე-
ბის, საყურეების, ძვირ-
ფასი ქვების, სხვადასხვა
ქსოვილებისაგან შეკერი-
ლი ტანსაცმლის ტარება.
სემიასამ — შელოცვა და
მკენარეების ფესვების
ნახარშისაგან წამლების
დამზადება. არმაროსმა —
ჯაღოს მოხსნა. ბარაკელ-
მა — ვარსკვლავთა გარ-
ჩევა, კოკაბელმა — ასტ-
როლოგია, ესეკეელმა —
მეტეოროლოგია და ა. შ.

ლოგიკური ანალიზის
შემდეგ შეიძლება მოკლე
დასკვნა ჩამოვაყალიბოთ:

„უკვდავი ღმერთი“,
რომელსაც ენუქი ზოგ-
ჯერ „უმალღესს“, „უხუ-
ცესს“ უწოდებს, საპლა-
ნეტაშორისო ზომალ-
დის კაპიტანია. მან ორას-
წევრიანი ჯგუფი გავზავნა
დედამიწაზე პლანეტის
გამოსაკვლევად. ამასო-
ბაში ძირითადად ზომალდ-
მა დატოვა დედამიწის
ორბიტა და ჩვენი გალაქ-
ტიკის სხვა პლანეტების

გამოსაკვლევად გაფრინ-
და. ორასმა უცხოპლანე-
ტელმა დაარღვია მეთა-
ურის ბრძანება და დე-
დამიწელ ქალებთან სექს-
უალური კავშირი დაამ-
ყარა. ძირითადი ზომალ-
დის დაბრუნების მომენ-
ტის მოახლოებასთან ერ-
თად იზრდება მათი შიში
დასჯის მოლოდინში. ენუ-
ქი დაკვირვების ერთ-
ერთი ობიექტი იყო. უც-
ხოპლანეტელებმა იგი
თავიანთ ორბიტალურ
სადგურზე აიყვანეს. ენუ-
ქი ნანახს შემდეგნაირად
აღწერს:

„ქარმა ფრთა გამომა-
სხა და ცაში ავფრინდი.
მბრწყინავი ქვებით მო-
ქედილო, ცეცხლისმფრქვე-
ველ ზღუდეს მივუახლოვ-
დი. შიშმა ამიტანა, ცეცხ-
ლის აღში შევიჭერი.
ჩემს წინ უზარმაზარი
შენობა აღიმართა. სახ-
ლის კედლები და ჭერი
ათასფრად ციმციმებდა.
კარები კი ცეცხლში იყო
გახვეული. შიგნით შევა-
ბიჯე — იქ მზესავით
ელავდა და თოვლივით
გრილოდა. სახლი შიგნი-
დან უფრო დიდი აღმოჩნ-
და. ყველა კარი ყურთა-
მდე გაეღოთ, ყველაფერი
ასეთი გრანდიოზული,
ლაშაზი, ლიცლიცა, ფე-
რადი, მანათობელი იყო,
რომ ვერ აღვიწერთ, მო-
ელვარე ვარსკვლავებით
მორთულ მაღალ ტახტ-
თან მიმიყვანეს. იქ მისი
უდიდებულესობა იჯდა...
მან ელვის, ქექა-ქუხი-
ლის, ქარების, ღრუბლე-
ბის, ნამის გაჩენის საი-
დუმლო ამიხსნა... მზისა
და მთვარის მოძრაობის
ტრაექტორია, მათი უხი-
ლავი მხარეები მიჩვენა —
საიდან ამოდიოდნენ და
სად ჩადიოდნენ. მეუფემ
ყველა ვარსკვლავის სა-
ხელიც მითხრა. შეაფასა
ისინი, საკუთარი მასის,
გამოსხივების, სიძლი-
ერის, აღმოჩენის თარი-
ღის მიხედვით დაახასია-
თა...“
ვინ ახსნის, წარღვნა-
მდე ოთხი თაობით ადრე
ენუქმა მზისა და მთვარის

უხილავი მხარეების არ-
სებობა საიდან იცოდა?
კარგადაა ცნობილი, რომ
კომპერნიკმა თავისი ნაშ-
რომი „მოძრავ ციურ
სხეულებზე“ 1543 წელს
გამოაქვეყნა. გალილეიმ
საკუთარი ხელით აგებუ-
ლი მიკროსკოპის საშუა-
ლებით ვენერასა და იუ-
პიტერის მთვარის ფაზები
1610 წელს აღმოაჩინა.
ხოლო, ენუქის ცნობები
ვარსკვლავებზე მართლაც
ფანტასტიკურია. დღეს
ასტრონომები ვარსკლავ-
ების კლასიფიკაციას
სწორედ მასის, გამოსხი-
ვების, მდებარეობისა და
დაკვირვების პირველი
დღის მიხედვით ახდენენ.
ბუნებრივია, გაგვიჩნ-
დება კითხვა: რატომ მო-
ფრინდნენ უცხოპლანე-
ტელები მაინცდამაინც
დედამიწაზე და რატომ
სწორედ იმ პერიოდში?
რა მიზეზები ჰქონდათ?

პირველი შეკითხვა
უსაგნოა. ჩვენ კავშირი
არც ერთ უცხო ცივილი-
ზაციასთან არ გვაქვს და-
მყარებული და არც ის
შეიძლება ვიცოდეთ, უც-
ხოპლანეტელები მილი-
ონობით გალაქტიკების
რამდენ სხვა პლანეტას
ესტუმრნენ.

ასევე უსაგნოა საკით-
ხის რაიმე „პერიოდით“
შემოთვარგვლა. ადამიანე-
ბის ნებისმიერი თაობა
ასევე იტყოდა — იქნე-
ბოდა ეს უცხოპლანეტე-
ლების მიერ ხელოვნური
მუტაციის გზით შექმნი-
ლი „კომოსაპიენსის“ პირ-
ველი გენერაცია, თუ
დღევანდელი თაობა.


რაც შეეხება უცხო-
პლანეტელების მიზანს,
ამაზე უამრავი მოსაზრე-
ბა არსებობს. მაგრამ
მთავარი ალბათ ისაა, რომ
უცხოპლანეტელების მი-
ზანი კოსმოსის სიცოცხ-
ლის ინტელექტუალური
ფორმებით დასახლება
და ამით, კოსმოსური კო-
მუნიკაციის ქსელის გა-
ფართოება იყო.

„**ტოჩი**“

ნასეხეხის“

გიფიჩი

ნაქვალევი





„დროშის“ არქივიდან








საქართველოს კულტურის ფონდის მოღვაწეობა არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე ფუნქციით. იგი მეტად მრავალფეროვანია. ასე მაგალითად, კულტურის ფონდი აქტიურად მონაწილეობს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციაში ჩვენთან და საზღვარგარეთ, რეგულარულად ტარდება გამოფენები, აუქციონები, რომელთა შემოსავლის ნაწილი ქველმოქმედებას ხმარდება.

ასე იყო ამჟამადაც. კულტურის ფონდში გაიხსნა ახალგაზრდა ქართველი მხატვრების გამოფენა-გაყიდვა. გამოფენაზე წარმოდგენილია გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები; გობელენი (ნ. ბურჯანაძე, ი. მაჭარაშვილი, ნ. კანდელაკი, მ. მაღლაფერიძე).

კერამიკა (გ. პაპკორია, ი. ჯანდიერი, თ. კუპრაშვილი, მ. მეზერიშვილი).

მინა (ნ. ბურჯანაძე).

ნიმუ გუდუვალიშვილი,
ხელოვნებათმცოდნე



აღმოსავლური

ნოდარ შავეჩაძე

მოთხრობა

ცული აპრილი დაუდგა ნინო ქიმაძეს: რაკილა ავადმყოფობას ერთხელვე დაუწვა. ვერ იქნა და წელი ველარ წამოსწია. ექიმიც მოუყვანეს. კიდევ უმკურნალეს. მაგრამ უკეთესობა არ ეტყობა. პირიქით. სულ უკან და უკან მიდის. ჩანს, წამლებმა ძალა დაჰკარგეს. როგორმე სატივარს შეიძლება მორეოდა, უიმედობა შეეპარა და ეს უთავებს ხელს. ბოლო დღეებში მოჩვენებებიც დასჩემდა. ზოგჯერ სიზმარსა და ცხადს შორის ზღვარს ვერ გრძნობს. თვალდახუჭული რომაა და გგონია ძინავსო. მოულოდნელად აბუტბუტდება. ჩურჩულებს, მაგრამ თუ ყურადღებით მოუსმენ, სიტყვები შეიძლება გაარჩიო. უფრო ხშირად მიცვალებულებთან საუბრობს. აი, ამ წუთშიც მეუღლეს ეკამათება: „ეს რა მიყავი, ვალიკო, რა ცოდვის ტვირთი ამკიდე! იმხელა განძი რად გინდოდა, მოგეტანა ერთი ბეჭედი... არ წამოგყვებოდი თუ?! რა? მაშინ ძალიან გამეხარდა? ხო, კინალამ გავგიჟდი!.. ბეჭდებით, სამაჯურიო, საყურეებით...“

ვალიკო ერთამე კარგა ხანს ელევნდოდა იარა. ორმოც წელიწადს რომ გადააბიჯა, დაქორწინება მაშინდა გაახსენდა. საცოლეს საძებნელად შორს არ წასულა: ნინო მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. ღარიბი ოჯახის შვილი კი იყო, მაგრამ ტანადობითა და სილამაზით გამოირჩეოდა. მხრებზე ნაწნავებგადაყრილი და ყელმოღერებული შარავზაზე რომ ჩაივლიდა, იტყოდი: ნეტავ, თვალი მომცა და ასე მაყურებიაო. ალბათ, ამიტომ იყო, ვალიკო ნინოზობაზე მეფისწულივით ხელდამშვენებული რომ მივიდა. მის გულუხვობაზე მაშინ მთელი უბანი ლაპარაკობდა: გვეგონა, საცაა დაბერდება და უცოლშვილოდ გადაეგება, ეს კი თურმე ქალის დასანიშნად ათეულწლოებით ემზადებოდა და ძვირფას საუფჯეს აგროვებდაო.

ვალიკო სანაქებო მეოჯახე გამოდგა. ცოლს თვალებში შესცივინებდა, ცდილობდა ასაკში განსხვავება დაევიწყებინა. ნინო შრომა-გარჯას ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული. ქმართან კიდევ მეტი მარიფათი გამოიჩინა. შვილოსნობაშიც თავი ისახელა. ოთხი ბიჭი გააჩინა ზედღებდ: კოტე, ნიკა, მიშა და კარლო.

ნინომ ნიშნობაზე მირთმეული განძი მხოლოდ პირველ დღეებში გამოამზეურა, ხალხში თავი მოიწონა. ოჯახის ტვირთი რომ დაუძიმდა, საკომწოდ აღარ ეცალა. რგოლიც კი წაიძრო. თავსაფარში გამოსკვნილი, საიმედოდ გადანახული ოქროულობა

ხანდახან თუ გაახსენდებოდა, გახსნიდა. თვალსა და გულს დაიტკბობდა და მერე ისევ სამალავს მიანდობდა.

ომის დროს ძალიან გაუჭირდა ნინოს. ქმარი ფრონტზე იბრძოდა, შვილები კი ისე პატარები ჰყავდა, ცხრილზე რომ დაგესხათ, ზემოთ ერთიც არ შერჩებოდა. სულს აქეთ რაც ებადა, ყველაფერი კირნახულზე გადაცვალა. ნიშნობის საჩუქარს კი ვერ შეეღია. ხოლო მის შემდეგ, ფრონტიდან „შავი ქალაღი“ რომ მიიღო, ქმრისეული განძი კიდევ უფრო ეძვირფასებოდა. შვილები რომ წავიდნენ, წამოვიდოდნენ და შინ მარტოდ დარჩებოდა, საგანძურს მიაშურებდა, დამკვნარ და დალილ თითებს ბეჭდებით დაიმშვენებდა, ცრემლს დაფრქვევდა, გულს მოითხებდა და მერე ისევ თავის ადგილას შეინახავდა. ისე დაბერდა, ნიშნობის განძი დღემდე მომყვაო, არავისთან დასცდენია.

პირშეო რომ დააქორწინა და ახალი სული ოჯახში შემოიყვანა, დააპირა, რძალს დაეხსაჩუქრებო. მაგრამ გადაიფიქრა: ჯერ ენახოთ, რა ქალობას გამოიჩენსო. მედიკომ კი ვერ გამოიჩინა ისეთი ქალობა, ნინოს რომ გაუხარდებოდა. არც მზია აღმოჩნდა უკეთესი. ყლილიმაც გული ატკინა. მარინე კი ყველაზე ავი და ქამფოლარი გამოდგა.

ნინო ისეთი სათნო და მოსიყვარულე დედამთილი იყო, ბევრ რამეს მოითქმენდა: ოღონდ რძლები შვილოსნობაში რომ ეშმაკობდნენ და ფუჭსაფატობდნენ, ამას ვერ ურიგდებოდა. სამმა რძალმა თითო შვილი გააჩინა და ამით დაკმაყოფილდნენ. მხოლოდ ლილის ჰყავდა ქალ-ვაჟი.

— მე ხანდაზმული ქალი ოთხი ბიჭის დედა ვაგხდი, ომი რომ არ დაწყებულა, ალბათ, კიდევ მეყოლებოდა, თქვენ კი რა მოვლით, რა ჯადომ შეგვკრავთ?! — უსაყვედურებდა ხოლმე.

მაგრამ ყურსა ბამბისა!

სიბერე რომ შეეპარა და ავადმყოფობამაც თავი იჩინა, ქმრისეული საჩუქარი სადარდებლად ექცა ნინოს. ეს სადარდებელი კარგა ხანია მოჰყვება. ახლა კი, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, კიდევ უფრო აფორიაქდა. რა ქნას, როგორ მოიქცეს? რა ბედნიერი იქნებოდა, ერთი გოგო რომ მაინც ჰყოლოდა! აიღებდა და მთელ განძს მისცემდა. აფსუსს, ბიჭების გახარებაც უნდა, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი ზარავს, წლობით ნალოლიავენ საუფჯეს პაქალა ქალები რომ დაეპატრონონ.

მარინემ, ავადმყოფთან სხვებზე ხშირად რომ იყო, ერთხელ ყური მოჰკრა მის „სიზმარეულ“ საუბარს. ნინო ქმარს შესჩიოდა: შენ რომ არ დამკარგოდი, ალბათ, გოგოც ჰგამიჩნდებოდა და მეშველებოდაო. ამის მერე რა თქვა, ველარ გაარჩია. ბოლოს კი გარკვევით გაიგონა: საყურეები, სამაჯური, საათი...

— ბოდავს უბედური, ცუდადაა ამის საქმე! — გაიფიქრა მარინემ და ის იყო ოთახიდან უნდა გასულიყო, ნინომ მოთქმასავით გააბა:

— ვის დავუტოვო, ვის, ვის?!

მარინე შეფიქრანდა: „იქნებ მართლაც აქვს რამე შემონახული და არ გვიმხელს?!“

თავისი ვარაუდი იმ დღესვე ქმარს გაანდო. კარლემ გაიხსენა, ხნიერი მეზობლები ბავშვობისას თავზე ხელს გადამისვამდნენ ხოლმე, მამაჩემს სინანულით მოგონებდნენ. კაი ვაჟკაცი იყოო, ზოგჯერ მის ნიშნობაზეც ჩამოაგდებდნენ სიტყვას, საცოლეს უამრავი ოქროულობა მიაართავო.

— ჰოდა, იქნებ კი აქვს სადმე მიჩუმათებული? — თვალებად იქცა მარინე.

— დაჭირვებაში სული გვხდებოდა და რა ოქროულობა შერჩებოდა?! თუმცა რატომ არ შეიძლება „ნაშთი ძველი დიდებისა“ ჰქონდეს

შემორჩენილი? — წარბები აძვება კარლომ.

მარინემ იმ ღამესვე ნინოს დაბოქლომებული ზანდუკი როგორც იქნა გააღო, საგულდაგულოდ გაჩხრიკა ყველაფერი. ტანსაცმლის ნაწიბურებიც არ დაუტოვებია შეუმოწმებელი.

— ვერაფერი აღმოვაჩინე, — შესჩივლა ქმარს და მერე სთხოვა: — შენი ხატრი აქვს, მიდი, თავი მოუქონე, იქნებ დააცდენინო!

— ზღაპარია! — ხელი ჩაიჭნია კარლომ, მაგრამ დედასთან მაინც შევიდა, თავით დაუჭადა და მოეფერა: შუბლზე ხელი გადაუსვა.

ნინომ ქუთუთოები ასწია და თვალი ოდნავ გამოაჩინა, დაკვირვებით შეაკვირდა, ფადანაცრულ სახეზე ღიმილი გაუერთა. მერე კი უბებთან ცრემლებიც აუკიფდა. ყველა შვილი ერთნაირად უყვარდა, მაგრამ კარლოსთან უფრო სიახლოვეს გრძობდა. მასზე ფიქრი ზოგჯერ გულსაც უჩუყებდა. ნაბოლარა რომ იყო, ალბათ, იმიტომ. მამას ცხრა თვისა დარჩა. ქმრის დაკარგვა მისმა ტიტინმა და ჭყლოპინმა გადაატანინა. ჩუძუც უფრო დიდხანს აწოვა. ბოლო ხანს სკამს თვითონ ბალლი მიუტრებინებდა ხოლმე: დაჩქეი, მომაწოვეო.

ახლა ყველაფერი ეს მოაგონდა ნინოს.

— ვეტყვი, გავახარებ, ენაცვალოს დედა! — გაიფიქრა და ტუჩები ააცმა ცუნა. ხმა არ ამოჰყვა.

— დედა, ხო არაფერი გინდა? — ჰკითხა კარლომ.

— ხო, შვილო...

— ხა, ხა, ხა, — მოისმა ამ დროს მარინეს სიცილი დერეფნიდან. მეზობელი მოსვლოდა და რაღაც ამბავზეც ბეირდებოდნენ.

ნინომ ტუჩები მოკუმბა და თვალები მილულა. „კაი გუნებაზეა ქალბატონი, რა ენაღვლება, მე უკვე მივდივარ, ფეხებში აღარ გამოვებლანდები. სულ ჩემს კბენაში რომ იყო, მოისვენოს აწი“.

კარლო ოთახიდან ფეხაკრფით გავიდა და ცოლს უსაყვედურა:

— აქ ავადმყოფი რომ წევს, გავიწყდება?

— არ მაიციწყდება. ვისაც ავიწყდება, იმას უთხარი... შენი რძლები ათასში ერთხელ თუ შემოიხედავენ...

კარლოს აღარაფერი უთქვამს. ეზოში გაიარა-გამოიარა. ცოტა ხნის შემდეგ დედა ისევ ინახულა. ნინოს თვალები ფართოდ გაეხილა, მძიმედ სუნთქავდა და ხელებს ნერვიულად იფშვინებდა.

— წელან რაღაც გინდოდა გეთ-

ქვა. — შეახსენა და სასთუმალთან დაუჭადა.

— ამირანი მომიყვანე შვილო, ახლავე წადი!

...ამირანი ნინოს დისწული იყო, იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ თავის პროფესიას რატომღაც მასწავლებლობა არჩია. საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. სიდინჯითა და სიდარბაისლით გამოირჩეოდა. ქვეის საკითხავ კაცად იცნობდნენ. ნინოს შვილივით ეიმედებოდა. ამირანსაც ძალიან უყვარდა დეიდა. რომ უთხრეს, საჩქაროდ გიხმობსო, ხალათის გამოსაცვლელოდაც არ შეყოვნებულა. მაშინვე გამოეშურა.

— შვილო, ვიცი, შენ არ მიღალატებ და რასაც ახლა დაგაწერიან, შემისრულებ, — უთხრა ნინომ და მერე სვენებ-სვენებით უკარნახა: — ცხოვებულმა ჩემმა ქმარმა ნიშნობაზე მომართვა შემდეგი საჩუქარი: პლატინის ბეჭედი ბრილიანტის ხუთი თვლით, ოქროს რგოლი, კალიცოს რომ ეძახიან, საათი, სამაჯური, ყელსაბამი, ქინძისთავი და საყურეები.

თითქოს ძალას იკრებსო, ნინო კარგა ხანს შეჩერდა, მერე ისევ სვენებ-სვენებით ჭანაჯრძო: — ამ განძს მთლიანად ვუტოვებ მეექვსე შვილიშვილს, რომელიც არა გვყავს და ჩემს რძლებს არც უნდათ, რომ გვყავდეს. თუ განძს პატრონი არ გაუჩნდება მეექვსე შვილიშვილის სახით, მაშინ იგი გაიყიდოს და განაწილდეს ჩემს შვილებსა და დისწულებზე თანაბრად. ანდერძის აღსრულებას ვავალებ ამირან ნიკოს ძე გამართელს.

ნინომ ძლივსძლივობით, თითების თრთოლვით მოაწერა ანდერძს ხელი, მერე კი ოქროულობაც გამოაჩინა. თურმე იმ მუთაქაში ინახავდა, რომელზედაც კუნაპეტით შავი თმა გაუთეთრდა.

ამირანმა ანდერძი მეორე დღეს ნოტარიუსს დაამტკიცებინა. ნინომ მრგვალი ბეჭედით და ხელმოწერით დადასტურებულ ქაღალდს რომ დახედა, დაწყნარდა, დამშვიდდა და ძილს მინებდა. ნაშუალამევს კი სამუდამო სიმშვიდე ჰპოვა. ძილში გაიპარა.

ნინოს უფროსი ბიჭები როგორც კი დაქორწინდნენ, ოჯახს გამოეყვანნ და ცალ-ცალკე დაესახლნენ. კარლო მამისეულ კერაზე დარჩა, დედამ ასე ისურვა. რძლები ამის გამო ჭანაწყენდნენ, დედამთილმა თავისი წილი ქონება უმცროს შვილს მიეკრძაო; საყვედურობდნენ. განძის ამბავი რომ გაიგეს, უკმა-

ყოფილებამ ახალი ძალით იფეთქა. ახლა სამდურავს უკვე კარლო და მარინეც გამოთქვამდნენ: ჩვენთან ცხოვრობდა და ძვირფასეულობა მთლიანად ჩვენი ოჯახისთვის უნდა დაეტოვებინათ.

ნიკა მუშტს გულზე იბაგუნებდა და სინანულით ამბობდა: „აფსუსს, რა გოგო მეძლეოდა!.. დალი კომლაძე... უმაღლესდამთავრებული, თვალადი, ტანადი... ბრილიანტის ბეჭედი უნდა მომიტანოს, ისე არ გაყვევიო, სად მქონდა, ეგ კი არა და, შარვალიც ნათხოვარი მეცვა, პოდა. ჩამეშალა საქმე, დედაჩემს ოქროებზე თავი ედო თურმე და მშვიდად ეძინა, რა გულმა მოუთმინა!

იქით კიდევ მედიკო თავს იკლავდა: პირველი რძალი მე ვიყავი ჩემთვის უნდა ეჩუქებინათო.

ყველა თავისას ფიქრობდა და ამბობდა, ერთი რამ კი ძმებსაც სჯეროდათ და რძლებსაც: ნინოს ნაანდერძევი ბალლი ველარ გაჩნდებოდა... მედიკო უკვე ორმოცდაათი წლისა იყო, მზია-ორმოცდაათის, ლილი და მარინე კი ორმოცს უახლოვდებოდნენ. შვილოსნობა ყველას კარგა ხანია დაემთავრებინა, ნინოს შვილიშვილებიდან ყველაზე უმცროსი უკვე ათი წლის გოგონა იყო.

დაიმედებულნი რომ იყვნენ და ელოდნენ, ამირანი განძს ან ახლა გაგვინაწილებს, ან ახლაო, მოხდა „სასწაული“: ლილის ცვლილებანი დაეტყო... გასუქდა, ნაბიჯი დაუმძიმდა. სახე აუჭოროფლიანდა, კვამხიარულდა. სულ უმიზეზოდ კისკისებდა...

ნირის შეცვლა პირველად მედიკომ შეამჩნია, შეიქნა მითქმა-მოთქმა და ერთი ალიაქოთი.

— დედა, დედა, ეს თუ მართალია!

— მართალიო?! შეხედე, ბრმა ხომ არა ხარ?!


— ქალაქში ბიჭი მიმყავს ლექტორთან სამეცადინოდო. თურმე სამკურნალოდ მიეთრეოდა!

— გამოგვავლო პირში ჩაღა და ეგ არის!

...ლილის დანახვას ველარ იტანდნენ. გახშირდა წყველა-კრულვა და აყალბაყალი.

ამასობაში თვეს თვე მიჰყვა. პოდა, მიშამ ერთ მშვენნიერ დღეს ორულულა ცენტრალი დააქუნა და სოფელს ბიჭის დაბადება ამცნო. ვალიკო დაარქვეს.

გახარებულმა მამამ ძეობის სუფრა გაშალა. ქეიფმა მისი ძმებისა და რძლების გარეშე ჩაიარა. მხოლოდ ნიკა ესტუმრა. მაგრამ როგორც კი



მხ. თენგიზ სამსონაძე

და, დედისეული განძი ერთხელვე რომ გადამაღეს. მერე აღარ ნახულოდნენ. ის კი არა და მასზე ლაპარაკსაც ვერცხობდნენ. ლილის რომელიმე რძალი თუ წაეკინკლავე-ბოდა და განძზე სიტყვას ჩამოუგდებდა. მას ფერფური მისდიოდა და ყველში ცრემლები ებჭინებოდა.

ბაღდადი კი ერთხელვე ხელი რომ წამოიყარა. წყაროსთვალავით წამოვიდა. დამრგვალდა. ჩაბუტყუნდა. შავი თმა დაუხუტუქდა. თეთრ. გაბადრულ სახეზე წამწამებიც შავად დააჩნდა. სხვა სიკეთესთან ერთად. ხალისიანობაც დასჩემდა. თითის ჩვენებაზეც კი ხითხითებდა. უკვე წამოჩიტული ძმაცა და დაც დაფოფინებდნენ. სიხარულით აღარ იცოდნენ. რა ექნათ. მიშა კი მთლად შეიცვალა... ამ ბიჭმა ეს რა მიყო. კაცი ხელახლა გამაჭაბუჯაო. ამბობდა და უიმისოდ სამუშაოზეც ვერ ძლებდა. შინ დაბრუნებამდე ელეთმელეთი მოსდიოდა.

შიში და ავი წინათგრძნობა რომ გაუხელდათ და ის იყო მშვიდად ამოისუნთქეს. უბედურების მაუწყებელი ღრუბელი კვლავ გამოჩნდა. ბიჭუნას წითელა ბატონები შეეყარა. ლილიმ და მედიკომ სწორედ იმ წინაღობას იჩინებეს. ბატონები, ალბათ. ამან გაანაწყენა. ბაღდადი ხელი მაგრად მოჭკიდა. მდგომარეობა გართულდა. ბავშვს ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. სხვა საშველი არაა. ბაღდადი პენიცილინით უნდა ვუმკურნალოთო. თქვა ექიმმა. ბატონების ბებიამ კი ხელეები გააპაპანა: ბაღდადი ნემსით არ დაჩხვილტოთ. თვარა მერე ვერავითარი მობოდიშება ვეღარ უშველისო. ლილი ორ ცეცხლშუა იყო. რომლისთვის დაეჭვებინა? ისევ ექიმის რჩევა ამჯობინა. კიდევ ეშველა. ბავშვმა მოიხედა. ანთება ჩაუქრა.

ლილის დედა ღვთისმორწმუნე იყო. შვილს ნინოსეულ განძზე სიტყვას ჩამოუგდებდა ხოლმე და სინანულით დასძენდა. ნაწყევარი და დამადლებული არაფერი ვარჯაო. მერე მკითხავთან და მარჩიელთან სიარულიც დაიწყო. არ ვიცი, იგონებდა თუ მართლა ასე იყო, ყველა მკითხავი ერთი და იგივეს ეუბნებოდა: შენს სიძე-ქალს ოჯახში რაღაც ნივთები აქვს დამალული და სანამ მას არ მოიშორებენ, მანამ ხიფათი და უბედურება მოელოთო. ცოლ-ქმარს მეტიც არ უნდოდათ... მიშა ადგა ერთ დილას, მივიდა ამირანთან, დედისეული განძი წინ დაუდო და უთხრა: ვისაც გინდა. იმას მიეცე, მე აქედან მისხალსაც არ ავიღებ, დედამიწის მთელ ოქროულობას ჩემი ვალიკოს ერთი ჩახითხითება მირჩევნიაო.

ამირანმა ოჯახს დედისეული განძი საზეიმოდ გადასცა, მანაც მოიმიზეზა რაღაც და სუფრა დატოვა.

მიშამ და ლალიმ იმ ღამესვე მოილაპარაკეს, რომ ანდერძით ბოძებული ძვირფასეულობა გაეყიდათ და ფული ბიჭის სახელზე შეეტანათ. სანამ ამ განზრახვას აისრულებდნენ, ბაღდადი სიცხე მისცა და საავადმყოფოდან ახალი გამოსული დედა-შვილი იქვე მიიყვანეს.

ავადმყოფობა მძიმედ მიმდინარეობდა, სიცხე ვერ იქნა და ვერ დაუწიეს. ბაღდადი ბარე სამჯერ საყ-

მაწვილომ გაუარა და ძლივს მოასულიერეს. სოფელში კი უკვე ხმა დაირხა. ბიჭუნამ დედის ხელეზე სული დალიაო. მიშა ვენახში თოხნიდა თურმე და როგორც კი გაუგია, მოკლე გზით გაქცეულა, საავადმყოფომდე სული ძლივს მიუტანია.

რამდენიმე დღის შემდეგ ბაღდადი მოუხედავს და თანდათან გამოკეთებულა, მაგრამ ცოლ-ქმარი მაინც ვერ დამშვიდებულან, ორივე რაცენაირმა მისტიკურმა შიშმა შეიპყრო თურმე, იჩვენებოდათ, მათ ბიჭუნას თითქოს ავი თვალი სდევ-



ლდგომის წინა კვირას ჩვენმა ტელევიზიამ უჩვენა დოკუმენტური ფილმი. უფრო სწორად, დღეს უკვე მათიანედ ქცეული კინოეპოპეა საქართველოს ამალღებისა და დაცემის შესახებ.

ეს მართლაც იშვიათი და სასწაულებრივად გადარჩენილი კინოდოკუმენტი ბევრ რამეზე გვახელონებს თვალს. ფირს ჭეშმარიტად უნიკალური კადრები შემოუნახავს. ის, რაც ეკრანზე ხდება, მძიმე ეროვნული ტრაგედიაა და ეს კადრები იშვიათად შემაძრწუნებელია, შეუძლებელია მათი გონებიდან ამოშლა.

სულ რალაც ოცდაათი-ორმოცი წუთის განმავლობაში მაყურებლის თვალწინ გაიარა ჩვენი ისტორიის ორმა, მეტად მძაფრმა და ერთიმეორისაგან გამორჩეულმა მონაკვეთმა.

გზები გაიყო. გზავასაყართან სამუდამოდ დარჩა საბედისწერო ნაკვალევი და სიმწრით დადაღული ქართული სული.



ორჯონიძე იშინის

•
მე ვიწყებ ამ წერილს იმით, რითაც ეს ფილმი მთავრდება.

•
შავი, კოკარდიანი ქული ახურავს და კოჭებამდე ჩაშვებული შინელი აცვია. ზედ შავქარქაშიანი გრძელი, რუსული ხმალი შემოურტყამს.

ყინჩად იხედება.
გრძელჭანგებიანი ძერა მობლაუჭებია თითქოს მოაჯირს, ისე დგას სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნაზე. მოკაუჭებული ნისკარტი გაუმზადებია მსხვერპლის დასაკორტნად.

კორტნის და ძიძგნის კიდევაც, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩება კაცს მის დანახვაზე. მაგრამ არა! ის ახლა აქედან, თბილისიდან, გახარებული და ბედნიერი გადაჰყურებს „მოზიემე“ საქართველოს.

სოღანლულთან, კრწანისის კალთებზე, კიდევ გრუხუნებს რამდენიმე ქვემეხი. რამდენიმე ბატარეა კიდევია „ცოცხალი“. შეძაგდაგდება ქვემეხი. ლულებიდან ამოვა კვამლი

— მღვრიე, ღრუბელივით აჭრილი. უჭირთ, სული კბილით უჭირავთ სასიკვდილოდ თავგადაღებულ მამულიშვილებს. შავი ანგელოზი დატრიალებთ თავზე და თვითონაც შავი ლანდებივით შეჭგუფულან ქვემეხებთან — გასავათებულები, ოფლში გაღვრილები.

უყურებ და გული გიკვდება. დროდადრო შეღმართზე ამოვარდება ქართული „ვაშა“ და მტკვრის პირებს ამოყოლილი „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“.

ესმის მას ეს „ვაშაც“, ეს „ლაშქრულიც“. სულთმობრძავი იუნკრების კვნესაც ესმის. აქ, ახლოს, სო-

ბოროს ეზოში. მათი საფლავებია. ვინც ადრე დაეცა.

ნერვი არ შეუტოკდება! ხორცი და სული არ აეწვება! ბოლშა არ მოაწვება ყელში!

ამოწყვეტაზეა ბოლო გეარდიული ჯგუფი ტაბახმელაზე. ალვის ხეები გაშხვართულა კოჭრის ძირში, შიშველ კლდეზე. ქვა-ლორღით მორიალებულ ფლატეებში.

ყველაფერი დაინახა და იგრძნო მოკაუჭებულნისკარტიანმა „ძერამ“. ყველანაირი საყნოსარი იყნოსა. ძერისნაირად ატრიალებს მართლაც იქით-აქეთ თვალებს, და იცინის, ყბების ჩახვევამდე:



წუნე კუპრეიშვილი

სიხარულია — ერთმა გაიღო, მეორემ მიიღო...

მართალია, დედა ტერეზა, დიახაც უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ არა მარტო საკუთარი თავისათვის, სხვებისთვისაც, და თუ უმრავლესობა ამ მცნებას დაიცავს, არავინ დარჩება მარტოსული და მიუსაფარი.

ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენის მიერ წამოწყებული მოძრაობა „კვირაში ერთი დღე მოყვასს“, ჰუმანიტარული მოძრაობის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

მეორე ეტაპი თბილისში

გაიღეთ კონკალია

● ასობით მოხუცი ღვთისმოსავთა კურთხეულ საუფლოში.

● თბილისში რვაათასამდე მარტოხელა ცხოვრობს.

● დედა ტერეზა მოგვიტორობს.

● ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი აცხადებს: „კვირაში ერთი დღე მოყვასს“...

● ანჩისხატის მოძღვარმა აკურთხა სათნოების სახლი.

რაცაც განსაკუთრებული, უჩვეულო ათინათით შემოანათა მზემ ქაშუეთის ტაძრის ეზოში.

შემოანათა და ერთბაშად გაათბო იქ თავმოყრილი ასობით მოხუცის, დავრდომილის, შეკირვებულის, უსახლკაროსა და მიუსაფარის დიდი ხნით დაჩრდილული სული.

მაისის იმ ღამას დილას მართლაც რომ სულის ზეიმი გამართულიყო ღვთისმოსავთა კურთხეულ საუფლოში.

მოდირდნენ ადამიანები, რომლებიც მარტო

ჰუმანიტარულმა საზოგადოებამ „კათარზისმა“ კი არა, ღვთის ნებამ მოიყვანა აქ ტანჯულთა და დაჩაგრულთა დახმარებისა და თანაგრძობისათვის.

ხალხის ზნეობრივი მდგომარეობის მიმანიშნებელია ის, თუ როგორ პირობებში ჰყავს მას უბედური ადამიანი.

შემამუფოთებელი სტატისტიკა:

მარტო თბილისში დღესდღეობით რვაათასამდე მარტოხელა ცხოვრობს. აქედან ათასამდე უკიდურესად გაჭირვებულია. ზოლო მთლიანად რესპუბლიკაში?

არიან ისეთებიც, რომელთაც საკუთარი თავის გამოკვებაც კი არ შეუძლიათ. ზოგს ფეხზე წამოდგომა უჭირს, ზოგს მარტოობა აწუხებს, ზოგს თბილი სიტყვა სჭირდება, ზოგს რა და ზოგს კიდევ რა...

ვინ უნდა გაათბოს მათი სული, თუ არა ჩვენ, მათ გვერდში მყოფმა ადამიანებმა — სისხლი სისხლთაგანმა, ხორცი ხორცთაგანმა.

შევიბრალოთ და გვეცოდებოდეს გაჭირვებაში ჩავარდნილი. გავიღოთ მათთვის ის, რისი გაღებაც შეგვიძლია.

არაფერია იმაზე დიდი ღირსება, ვიდრე სიკეთის თესვა, რადგან სიკეთე არ ითესება ძალით და მას ჩვენივე თავი გვაკეთებინებს მხოლოდ.

— ამას წინათ მივიღეთ ხუთმეტრი დოლარი კაცი საგან, რომელიც ოცი წელია წევს. — მოგვითხრობს დედა ტერეზა. — ერთადერთი კიდური, რომელსაც იგი ამოძრავებს, მარჯვენა ხელია, ერთადერთი რამ, რაც მას სიხარულს ანიჭებს — პაპიროსის მოწვევა. მან შემომითვალა:

— მე არ მომიწევია პაპიროსი ერთი კვირის მანძილზე და გიგზავნი ამ ფულს.

მისი მხრიდან ეს წარმოუდგენლად დიდი მსხვერპლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნახეთ, რა არაჩვეულებრივი, რა ძლიერი სურვილია მოწყალების გაღებისა. იმ ფულით მე დავაპურე მშვივრები. ეს ორმხრივი

ში რესპუბლიკური მნიშვნელობის სათნოების სახლის დაფუძვნებაა. ეს სახლი მაკოორდინირებელ ფუნქციას შეასრულებს მიუსაფართა, უჭონელთა, დავრდომილთა და მათ პოტენციურ დამხმარეთა შორის.

თუ ადრე ქაშუეთის ტაძრის ეზოში გამართულ სათნოების აქციაში მონაწილეობას მხოლოდ ის ადამიანები იღებდნენ, რომელთაც დათქმულ დღესა და საათს შეეძლოთ იქ მისვლა, სათნოების სახლში ყველას მიეცემა საშუალება, მისთვის ხელსაყრელ დროს დაეხმაროს გაჭირვებულ ადამიანს.

— რესპუბლიკისათვის ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ეტაპზე სათნოების სახლის დაფუძვნება ისე უნდა გავიგოთ, როგორც მთელი ქართველი ერის კეთილი ნების გამოხატულება, მოსახლეობის საყოველთაო განცხადება, აშენოს ჰუმანიტარული ხასიათის სუვერენული სახელმწიფო, — ნათქვამია ასოციაცია „კათარზისის“

მინათობაში საქართველოს მთავრობისა და მთლიანად ქართველი ხალხისადმი.

მიმართვას მხარი დაუჭირა სრულიად საქართველომ.

„კათარზისის“ სახელზე განსაკუთრებით მომრავლდა ის ბარათები, რომელთა ავტორებიც ორდენის მზრუნველობის ქვეშ მყოფი უკიდურესად გაჭირვებული ჩვენი თანამოძმეები არიან. ამ ერთი მათგანი:

„როცა სათნოების სახლზე წავიკითხე, ტირილი ვერ შევიკავე. ღმერთმა ხელი მოგიმართო! მე სულ მარტო ვარ. შვილი მყავდა და მომიკვდა. ძალიან მიჭირს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე მარტო საკმელი ხომ არ არის, ამ მარტოობას ვინმე ან რაიმე თუ შემიმსუბუქებს, ვიტყვი, რომ ღმერთმა კეთილად მომხელა“ (ნ. მ. ლეონიძის ქ. № 1).

ავერ მეორეც: „არასოდეს დამავიწყდება 21 ივლისი, როდესაც ჩემ სახლში ფეხი შემოდგეს სათნოების დედა. დაილოცოს მათი წამოწყებული საქმე, რომელმაც მაგრძნობინა, რომ დაკარგული და დავიწყებული მარტოხელა აღარ ვარ...“

ამჟამად ვარ 79 წლის და ასე მგონია, სიცოცხლე ახლა დავიწყე. ვთხოვ საქართველოს ხელმძღვანელობას, ნუ დაგვიკოვავს ამ იმედს, სათნოების სახლის დაარსება საქართველოში ნიშნავს ჩვენი სიცოცხლის გახანგრძლივებას, ყველა მარტოხელა, გაუბედურებული მოხუცის სახელით გთხოვთ, დაგვეხმაროთ. ვითომ თქვენი მშობლები ყოფილხართ“ (ს. ლ. საინგილოს ქუჩა № 12).

ამხარი სურვილებიც იბადება:

„... მე მარტოხელა, ხანდაზმული ქალი ვარ, ჩემი სახლი სათნოების სახლად არ გამოდგება. მაგრამ რადგანაც ასე გიყვართ

მოხუცები და ხანდაზმულები, მთელ ჩემს მოძრავ და უძრავ ქონებას, მათ შორის კერძო მფლობელობის ბინას, მემკვიდრეობით თქვენ გიტოვებთ... დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს შემდეგ ეს ყველაფერი სიკეთეს მოხმარდება. ღმერთმა გაგაძლიეროთ მართლა კეთილად ადამიანებო! (თ. კ. შხეფის ქუჩა № 11).

არ შეიძლება სულის სიღრმემდე არ შეგვეძრას ამ ბარათებმა. მათ უკან ხომ ადამიანი დგას, უმწეო, უსუსური ადამიანი, რომელიც ბავშვივით ელის შენს დახმარებას.

ახლა ერთი მცირე ამონაწერი მოვიტანოთ იმ განცხადებიდანაც, რომელითაც ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდენტმა ზაურ ალადაშვილმა მიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

„ბატონო ზვიად!

... სათნოების სახლი ბედნიერად ჩათვლიდა თავს, თუ მას გადაეცემოდა სახლის დაფუძვნების შესახებ საგანგებო განკარგულების ბ-ნ ზვიად გამსახურდიასეული ხელნაწერი. ჩვენი აზრით, ამ აქტში ბევრი რამ იქნებოდა ისტორიულიცა და სიმბოლურიც“...

გაიცა ასეთი ხელნაწერიც:

„სასწრაფოდ დააკმა-

ყოფილეთ სამართლიანი მოთხოვნები.

ზ. გამსახურდია.
1990 წ. 29 XII.“

და მათი ყოველგვარი სამართლიანი მოთხოვნა მართლაც სასწრაფოდ დააკმაყოფილეს. შემდეგ კი ანჩისხატის მოძღვარმა მამა ზაქარიამ აკურთხა სათნოების სახლი დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ყოფილი დიდუბის რაისაბჭოს შენობაში.

ამიერიდან გაჭირვებულ, უსასოო ადამიანებს აქვთ სახლი, ამ სახლში ისევე მიელიან თითოეულ ჩვენგანს, როგორც დედა შვილს მიელის, ახლობელი — ახლობელს, მეგობარი — მეგობარს.

მაინც როგორი იქნება სათნოების სახლი?

ამ სახლს ძირითადად სათნოების ორდენის წევრები მოემსახურებიან. მათი რიცხვი რამდენიმე ათეულია. გარდა ამისა, ყველა ჩვენთაგანს შეეძლება ამ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობის მიღება ისე, როგორც და რანაირადაც შეუძლია.

სათნოების სახლს დაეკისრება ჰუმანიტარული დანიშნულების თითქმის ყველა ფუნქცია. აქ სისტემატურად იმორიგევენ ორდენის წევრი ექიმები და ფსიქოლოგები, იმუშავენ ნდობის ტე-

ლფონი, რომელიც მოემსახურება არა მარტო მოხუცს, დავრდომილს, მარტოხელასა თუ მიუსაფარს, ყველანიარ გასაჭირში მყოფ ნებისმიერ ადამიანს მოუსმენს, მხარში ამოუდგება.

გზა კათარზისის აკენ საკუთარი ცოდვების შეცნობით უნდა დავიწყოთ.

უბრალო ჭეშმარიტებაა: კათარზისის გარეშე ვერ მიიღწევა სულიერი თავისუფლება, ამის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერ სხვა თავისუფლებაზე ლაპარაკი.

სათნოების სახლები მთელ მსოფლიოში მოქმედებენ. ეს ერის ცივილიზაციის მაუწყებელია. ბევრ ასეთ სახლს, თურმე, შესასვლელთან ფასადზე ამოტვიფრული აქვს დაარსების თარიღი. ერთ-ერთ ტაძარს კი პარიზში ასეთი წარწერა ჰქონია:

— თქვენ მარტო ხართ? მობრძანდით, ჩვენ მოგისმენთ!

ჩვენი სათნოების სახლის დამფუძნებლებიც, ალბათ, ამიტომ ფიქრობენ, რომ სახლი, დაარსების თარიღთან ერთად, ასეთი წარწერითაც დაამშვენონ:

— მოგისმენთ და დაგეხმარებით!




ცხოვრებისეული მეცნიერი

— არა, არავითარ შემთხვევაში, ჩემო კარგო, — მიმართა მისტერ უილიამსმა, ბანკირმა, მის წინ სავარძელში გადაწოლილ და სკამზე ფეხებშელაგებულ ახალგაზრდა კაცს. — არავითარ შემთხვევაში, მისტერ ჩევენ. თქვენ ჩემი ასულის ხელს მთხოვთ და ეს ნიშნავს, რომ ჩემს სიძედ გახდომა გწადიათ. ამის შედეგად კი, როგორც თქვენ იმედოვნებთ, ჩემმა ქონებამ თქვენს ხელში უნდა გადმოინაცვლოს. ჩემს შეკითხვაზე, გაქვთ თუ არა რაიმე შეძლება, თქვენ ეს-ეს არის მიპასუხეთ, რომ მთელი თქვენი ავლა-დიდება სულ რაღაც ორასიოდე დოლარს შეადგენს.

მისტერ უილიამსმა ფეხები მაგიდაზე შეაწყო და განაგრძო:

— თან ისიც დაყოლეთ, ერთ დროს თქვენც ხომ გიჭირდათ და ეს ორასი დოლარიც კი არ გაგაჩნდათო. ამაზე დავას არ დაგიწყებთ, მაგრამ გეტყვით კი, რომ თქვენს ასაკში უკვე საკმაოდ მოზრდილი თანხის მფლობელი გახლდით და თან გონებაც მიჭრიდა, რასაც თქვენ ვერ დაიტრაბახებთ. ახლა კი ყურადღებით მომისმინეთ და ჭკუა ისწავლეთ. მაშინ თექვსმეტი წლის ჭაბუკი ვიყავი, ბიძაჩემს რომ მივადექი ნებრასკაში ცოტაოდენი ფულის საშოვრად. ბიძაჩემი დავიყოლიე, რომ ზანგი, რომელსაც ლინჩის კანონით გასამართლებას უპირებდნენ, მის საკარმიდამო ტერიტორიაზე დაესაჯათ. ასეც მოხდა, მაგრამ ამ სანახაობის ხილვის მსურველთა ცოტაოდენი ფულიც უნდა გაეღოთ, რადგან იმ ადგილს, სადაც უბედური ზანგი უნდა ჩამო-



გვეხრჩო, მაღალი მესერი შემოვავლეთ გარს. მოლარეობა მე ვიკისრე, და როგორც კი ზანგი საიქიოს გავისტუმრეთ, დავკარი ფეხი და იმავე საღამოს გავიქეცი იქიდან ფულიანად. ამ ფულით ჩრდილოეთში მიწის ნაკვეთი შევიძინე და ხმა დავეყარე, თითქოს ერთგან, მიწის თხრისას, ოქროს წვაფაყდი. ნაკვეთი სარფიანად გავციდე და ფული დავაბანდე. ბარემ იმასაც გეტყვით, თუკი სათქმელად ღირს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ერთმა ჩემგან მოტყუებულმა კაცმა რევოლვერის ტყვიით მარჯვენა ხელის ძვალი დამიმხვრია, მაგრამ ამან, როგორც დაზარალ-

ბულს, საზღაურის სახით ორიათასი დოლარი შემძინა. გამოვჯანმრთელი თუ არა, მთელი ჩემი ფული ერთი რელიგიური საზოგადოების აქციებში ჩავყარე ინდიელებით დასახლებულ ტერიტორიაზე ეკლესიის ასაგებად. დავიწყეთ ფასიანი ქალაქების გაყიდვა ას-ას დოლარად, ეკლესია, რა თქმა უნდა, არ აგვიგია. რელიგიური საზოგადოება იძულებული გახდა გაკოტრებულად გამოეცხადებინა თავი. ეს მოხდა ზუსტად ერთ კვირაში მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების აქციები ხარის ტყავის თამასუქებზე გადაეცვალე, რადგან ტყავის ფასმა იმხანად სწრაფად

ფიქრია უზუიტაზვილი

„ჩვენ ერთად ვართ და ეს გაღნიერება!..“

„... ხშირად დადიხართ რუსთაველის თეატრის მცირე სცენის სპექტაკლებზე? — თითქმის მუდამ ვეკითხები თეატრის შენობის წინ შეგროვილ ახალგაზრდა მკურნალებს და ლამის მუდამ მასხუბობენ: „ხშირად, ძალიან ხშირად“.

საოცარია, მაგრამ დღეს, როცა მკურნალებმა დარბაზები თითქმის ცარიელია, რუსთაველის თეატრის მცირე სცენის ახალგაზრდული დასი სრული ანშლავის პირობებში თამაშობს ეველა წარმოდგენას.

მეც ხშირი სტუმარი ვარ ამ თეატრში და აღტაცებას მგვრის, მახარებს ახალგაზრდა მკურნალებმა ასეთი ერთგულება. ინ-

ტერესი და სიყვარული თავიანთ თანატოლთა შემოქმედებებში. ისინი ამ თეატრით ცხოვრობენ, მოდიან თითქმის ეველა საღამოს. მათ უმაწვილურ, მახვილ მზერას არ ეპარება არც ერთი ახალი ნიუანსი, მსახიობური იმპროვიზაცია. სპექტაკლის წუთებში მკურნალებმა დარბაზი და სცენა თითქოს ერთიანდება. ეს არის თაობა, რომელიც თამამად გვიზიარებს საკუთარ სათქმელს. ეველაფერი კი იმით დაიწ-

ყო, რომ 1988 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმა რეჟისორ გიზო უორდანიას ხელმძღვანელობით დადგეს საკურსო სპექტაკლი — პაკეტისა და გუდრიჩის „ანა ფრანკის დღიური“. პრემიერა ნამდვილ დღესასწაულად იქცა: სპექტაკლმა ეველა ააღაპარა — ინსტიტუტის პედაგოგებიცა და სტუდენტებიც.

მახსოვს იმ წელს თბილისი ტრადიციულად მასპინძლობდა ახალგაზრდული სპექტაკლების საკავშირო ფესტივალს და ეს სტუდენტური ნამუშევარი კონკურსგარეშე უჩვენეს სტუმრებს. წარმატებამ უოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: კრიტიკოსები (ისინი კი, მოგეხსენებათ, ეველაზე მკაცრი მკურნალები არიან) ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს. მერე წინასწარმოლომ სპექტაკლი დავით კლდიაშვილის „სამაწი-შვილის დედინაცვალი“ ითამაშეს. მას კვლავ წარმატება მოჰყვა და სწორედ მაშინ დაიბადა ამ ჩუფუხის საფუძველზე რუსთაველის თეატრის მცირე სცენის ადგილის იდეა. ასეც

აიწია. მიეყავი ხელი ხარის ტყავებით
ვაჭრობას. რამაც ბლომად ფული
დამაგროვებინა. რადგან ვყიდდი
ნალდ ფულზე და ვყიდულობდი თა-
მასუქებით. მერე კი მთელი თანხა
კანადის რამდენიმე ბანკში შევიტა-
ნე და თავი გაკოტრებულად გამო-
ვაცხადე. დამაპატიმრეს და ციხეში
მიკრეს თავი. მაგრამ სასამართლო
პროცესზე ისე ვიქცეოდი, რომ ექს-
პერტმა გონებაჩლუნჯად მცნო და
სასამართლომ პასუხისმგებლობისა-
გან გამათავისუფლა, დამსწრე საზო-
გადოებას ჩემთვის ფული შეაგრო-
ვებინა და თანაც იმდენი, რომ კანა-
დაშიც გამომისტუმრეს და ცოტა-
ოდენიც სახარჯო გამომაყოლეს. მე-
რე კი ბრუკლინელ მილიონერს, მის-
ტერ ჰამელსტეგს ქალიშვილი მო-
ვტაცე და სან-ფრანცისკოს შევაფა-
რე თავი. სასიმამრო იძულებული
გახდა, ჩავესიძებინე, რადგან დავე-
მუქრე, მანამდე მეყოლებოდა მისი
ასული გადაამალული. ვიდრე საშუა-
ლება არ მომეცემოდა მისი შვილი
უკანონოდ შობილი ბავშვის დედად
გამომეცხადებინა საქვეყნოდ. ახლა
ხომ ხედავთ, მისტერ ჩეინ, რა ბი-
ჭიცი ვყოფილვარ, ა? თქვენ კი, თქვე-
ნი ხნის კაცს ღღემდე არაფერი გაგი-
კეთებიათ. თუ თქვენ დაგიკრებთ,
ჩემი ასული სიკვდილს გადაგიჩე-
ნიათ, როდესაც იგი ნავიდან წყალში
გადავარდნილა. რასაკვირველია, დი-
დებულად მოქცეულხართ, თუმცა
თქვენთვის ამას არავითარი პრაქტი-
კული ღირებულება არ გააჩნია, მით
უმეტეს; რომ ეგ ვაქცაცობა ახალ
ფეხსაცმელებადაც დაგჯდომიათ. ჩე-
მი ასული თუ გიყვართ, მაგაზე პა-
სუსხს მე ვერ ვაგებ და თავს ვერ და-
ვისჯი იმით, რომ სიმამრად გაუუხდე
კაცს, რომელსაც არც თავში უყრია

რამე და არც ჯიბეში. ახლა კი, გე-
თავყვა, გთხოვთ მიბასუხოთ: რაიმე
ბიზნესში თუ გაგირვევიათ ხელი
ოღესმე?
— არასოდეს.
— გაქვთ რაიმე ქონება?
— არავითარი.
— და მაინც ითხოვთ ჩემი ასუ-
ლის ხელს?
— დიახ.
— და გიყვართ იგი?
— დიახ.
— ფული თუ გაქვთ რამე ჯიბეზე?
— ორმოცდაექვსი დოლარი.
— აგერ, უკვე ნახევარი საათია,
გესაუბრებით და გარიგებთ, როგორ
უნდა გააკეთოთ ფული. ამისათვის
თქვენგან ოცდაათი დოლარი მერგე-
ბა, წუთში თითო დოლარი უილი-
ამს, — რას ბრძანებთ, მისტერ უილი-
ამს, — წამოხტა ყმაწვილი კაცი.
— რაც გიყურებათ, — ჩაიხითხი-
თა მისტერ უილიამსმა და საათს
დახედა.
— ახლა უკვე ოცდათერთმეტი
დოლარი მერგება, რადგან კიდევ
ერთი წუთი გავიდა.
როდესაც გაოგნებულმა მისტერ
ჩეინმა აღნიშნული თანხა მაგიდაზე
დადო, მისტერ უილიამსმა ალერსი-
ანად უთხრა:
— ახლა კი ნება მიბოძეთ, მოგახ-
სენოთ: სასწრაფოდ გაეცალეთ აქა-
ურობას, ვიდრე ძალით არ გამიგდე-
ბინებისხართ გარეთ.
— მერედა, თქვენი ასული? —
შემოსტირა კარის ზღურბლიდან ჰა-
ბუქმა.
— ჩემს ასულს თქვენისთანა
ბრიყვს ვერ ვავატან, — მშვიდად
განუმარტა მისტერ უილიამსმა.
— რალა მიჭირს ამისთანა სიძეკა-
ცის პატრონს. — უთხრა მან თავის

ასულს. როდესაც მისტერ ჩეინი
თვალს მიეფარა. — ეგ შენი მიჯნუ-
რი მაგარი რეგენია და ჰკუას ვერა-
სოდეს მოეგება.
— მაშ, ჩემი ქმრობის იმედს უნ-
და გამოეთხოვოს? — ჰკითხა მისს
ლოტემ.
— სანამ მაგ ჰკუაზეა, დიახაც, —
მიუგო მისტერ უილიამსმა. — თუ
თავი რამენაირად არ გამოიჩინა, ფიქ-
რადაც არ გაივლოს ჩემი სიძეობა.
და მისტერ უილიამსმა უამბო თა-
ვის ქალიშვილს ყველაფერი, რაზე-
დაც მისტერ ჩეინის ელაპარაკა, და
დაუმტა: — აბა, ამაზე მეტი ჰკუის
სწავლება რალა იქნება.
მეორე დღეს მისტერ უილიამსი
თავისი საქმეების მოსაგვარებლად
გაუდგა გზას. ერთი კვირის შემდეგ
შინმობრუნებულს საწერ მაგიდაზე
ბარათი დახვდა.
„დიდად პატივცემული ბატონო
ჩემო!
უსაზღვრო მადლობას მოგახსე-
ნებთ დარიგებისათვის. თქვენმა მა-
გალითმა ისერიგად აღმაფრთოვანა,
რომ თქვენს ასულთან ერთად კანა-
დისკენ გავწიე, წავიღე მთელი ფუ-
ლი, რაც თქვენს სალაროში დამხე-
და, და თან გამოვაყოლე ფასიანი
ქალაღღებიც.
თქვენი ჩეინი“.
ქვემოთ კი მიწერილი იყო:
„მამიკო!
გთხოვ, ნუ მოგაკლებ შენს ლოც-
ვა-კურთხევას. ამასთანავე მინდა გა-
უწყო, რომ შენი სეიფის გასაღებს
ვერ მივაგენით და ნიტროგლიცერი-
ნით ავაფეთქეთ იგი.
შენი ლოტე“.

გერმანულიდან თარგმნა
გიორგი ჯაბაშვილმა.

მოხდა. აი, რას წერდა მაშინ
გაზეთი „თბილისი“:
— „კარგა ხნის დუმილის
შემდეგ კვლავ ახმაურდა რუს-
თაველის თეატრის მცირე დარ-
ბაში, განახლებულ დარბაზში
ნანდვილი თეატრალური დღე-
სასწაულის მოწმენი გახდნენ
ისინი. ვინც კი სიციყესა და
ქარაშოტს არ შეეპუა და მცირე
დარბაზს ეწვია, თეატრის
კოლექტივის ახალგაზრდების
ჩაუფმა თავისი პირველი სპექ-
ტაკლი აჩვენა განახლებულ
სცენაზე... პრემიერამ სიმბო-
ლური მნიშვნელობა შეიძინა.
მათი მოხვლა რუსთაველის
თეატრში არ იყო შემთხვევი-
თი, მხოლოდ იღბლის მოუ-
ლოდენელი საჩუქარი, მაშინ
ხაუბრობდნენ ხვდა თეატრში

წახვლაზეც, ოღონდ აუცილებ-
ლად ერთად... ხალაც არ უნდა
წახულიყვენ, რაც არ უნდა
მოხდარიყო, ისინი მაინც ერ-
თად იქნებოდნენ.
„ერთად უოფნა!“ მცირე
სცენის ახალგაზრდების ხელოვ-
ნების საიდუმლოება სწორედ
მათ ერთად უოფნაშია. ისინი
უკვე მეცხრე წელიწადია ერ-
თად არიან, ტყვილიც საერთო
მქონიათ და გამარჯვების სიხა-
რულიც. მათ მხარში უდგას
ბატონი გიჟო უორდანიო და
თითქოს გრძელდება სტუდენ-
ტობა. მათი ურთიერთობა
ქართულ სიმღერასავითაა —
მრავალმხიანია.
დრო ძალზე სწრაფად გა-
დის — გუშინდელივით მახ-
სოვს. მე რომ თეატრალური

ინსტიტუტის სტუდენტი ვავს-
დი, ისინი მესამე კურსზე სწავ-
ლობდნენ. მახსოვს, როგორ
იკრიბებოდა მთელი ინსტიტუ-
ტი, როცა მათ სასცენო მეტყ-
ველებასა და ცეკვაში ჩათვლა-
გამოცდები ჰქონდათ. ეს იყო
ნამდვილი პატარ-პატარა დღე-
სასწაულები მილოცვებითა და
აპლოდისმენტებით, როგორც
პრემიერზეა ხოლმე თეატრში.
დღეს კი უკვე რუსთაველის
თეატრის მსახიობები არიან.
მათი რეპერტუარი კიდევ სამი
სპექტაკლით გამდიდრდა: ბო-
რის ვახილავის „ამალამ მგონი
იქნება ქარი“ (რეჟისორი გიჟო
უორდანიო), გეორგ ბიუხნერის
„ლეონსი და ლენა“ (რეჟისორი
ნანა კვახიძე) და შექსპირის
„ამალეტი“ (რეჟისორი გიჟო

უორდანიო). დასიც გაიზარდა:
ნანა ხუსკივაძე, ნინო თარხან-
მოურავი, გოჩა კაპანაძე, მერაბ
ნინიძე, ირაკლი მაჭარაშვილი,
მალხაზ ჯვრიციშვილი, ნანა
შონია, ქეთი ჩხეიძე, მაია ფა-
ჩუაშვილი, ზაზა პაპუაშვილი,
დავით ბახტაძე, თემურ ჭიჭი-
ნაძე, ლევან ბერიკაშვილი, გი-
ორგი გაჩეჩილაძე, ნანა ლორ-
თქიფანიძე, ნუკა კაციტაძე.
ამ ხალაზის სპექტაკლი აქვთ.
მივდივარ თეატრში და წინას-
წარ ვიცი: მაყურებელი ისევ
შეაყვებს დარბაზს და ვინ იცის,
იქნებ ფეხზე მომიწიოს დგომა.
მივდივარ და დროდადრო მახ-
სენდება ახალგაზრდა მსახიობ-
თა სიტყვები:
„ჩვენ ერთად ვართ და ეს
ბედნიერებაა“...



საყვანვენილი მოთხროვა

ბერო და ჰაბუჯი არც მძებნი იყვნენ და არც ერთი გვარისა.

ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ერთ სართულზე, კიბისთავზე. ბერო რომ თავისი ბინის კარს გააღებდა, პირველად ჰაბუჯის ბინის კარი მოხვდებოდა თვალში, ხოლო ჰაბუჯი რომ გარეთ გამოვიდოდა, უსათუოდ ბეროს ბინის კარს დაინახავდა.

კარის მეზობლები იყვნენ. კარგი მეზობლები! მძებნივეთ ცხოვრობდნენ. ერთმანეთს შეებერდნენ. ხანდაზმულობის ტიპობი დღეები ჰქონდათ.

ორივეს უყვარდა ჰადრაკის თამაში. ჰადრაკი რომ მოსწყინებოდათ, ნარს გაშლიდნენ.

ჰაბუჯს რომ სტუმარი მოუვიდოდა, მაშინვე თავის პატარა, უმცროს შვილშვილს დაძაბებდა: — პაატა, გაიქე ბეროსთან, თუ სახლშია, უთხარი: ბაბუას სტუმარი ყავს და შემოვიდეთალათ. ჩემთან გამობრძანდით.

განა მარტო ჰაბუჯი იცოდა ასე! ბეროს თუ მოუვიდოდა სტუმარი, ისიც ასევე ეპატრებებოდა ხოლმე ჰაბუჯს. ისინი მთლად ერთი ხნისა არ იყვნენ.

ჰაბუჯი რამდენიმე წლით უფროსი იყო ბეროზე. ერთად რომ შეიყრებოდნენ ხოლმე, რაზე ლარ საუბრობდნენ.

ჰაბუჯს ბოლო დროს ცოტა მეზსიერებამ უღალატა. ზოგჯერ ერთსა და იმავე ამბავს ახალივით უყვებოდა ბეროს. ბეროც ისე უგდებდა ყურს, თითქოს პირველად ისმებოდა.

ჰაბუჯმა ამბის მოყოლა დიმიტრი-ცილით იცოდა. მით უმეტეს, თუ სასაცილო რაიმეს იტყვოდა. თვითონაც ისე იცინოდა. თითქოს პირველად გაიგონაო.

ერთხელ უგუნებოდ იყო. უნდოდა რაღაც ეთქვა და ვერც ამბობდა. წინასწარ ოხრავდა:

— ოჰ, უჰ. — თანაც ხელს აქეთ-იქით იქნევდა.

გაუყვირა ბეროს ჰაბუჯის გულის ბოლმა. შეეკითხა:

— რა გაწუხებს, ჰაბუჯი?

— აი, სწორედ ეგ!

— რა ეგ?

— ჰაბუჯი, ჰაბუჯიო მეძახი, მაგრამ რაღა დროს ჩემი ჰაბუჯობაა, ძლივს დავდოლიაობ.

ბერომ ჩაიცინა და მიუგო.

— შენ შენი თქვი, მაგრამ ახლა ჩემიც იკითხე!

— შენი რა უნდა ვიკითხო. შენი სახელი ზედგამოჭრილია შენზე. — ჰაბუჯი სიტყვაში შეუჭრა ბეროს.

— ახლა კი, მაგრამ როგორ ვიწოდი სირცხვილით, ახალგაზრდობაში რომ ბეროს შეძახებდი. ბეროც კარგა ხანია გასცადა საბენსიო ასაკს. მაგრამ სამსახურს მაინც არ ეშვება. ჰაბუჯი კი ზის სახლში და იღებს პენსიას. ქვაყვითლებითაც ამბობს: კარგად მყოფნის ჩემი პენსიაო. იქნებ ბეროსაც უყოფოდა, მაგრამ სხვათადაც კაცია. კულ იმას გაიძახის. სამსახურს რომ თავი დავენებო, შინ უსაქმოდ როგორ გაეძღვლებო. არ იმჩნევს ხანდაზმულობას, უყვარს ფეხით სიარული, იშვითად თუ ჩაჯდება ავტობუსში თუ ტროლეიბუსში. სამსახური ძალიან

შორს არა აქვს. ფეხით დადის. ჩემი ფეხი უტყუარიაო.

ერთხელაც ბერო სამსახურიდან ფეხით მოდიოდა. სახლამდე დარჩენილ უკანასკნელ გაჩერებას რომ მიუახლოვდა. მოსაცდელზე ჰაბუჯი დაინახა. ავტობუსს ელოდა. იმის დაინახა და, ფეხს უფრო მოუჩქარა. მიუახლოვდა. ღიმილი დაუწყწო ლაპარაკი:

— ჰაბუჯი, აქ რას აკეთებ?

— აქ რაა გასაკეთებელი, ავტობუსს ველოდები.

— მოგეცოდა შენც რა. ავტობუსი როდის მოვა. ამ ერთ გაჩერებაზე ლოდინი ღირს? წამო. შინ ფეხით უფრო მალე მივალთ.

— არა, არა. ვერ წამოვალ. — ჰაბუჯმა ცივი უარით უპასუხა.

— აბა, მე წავალ!

— წადი!

ბეროს აზრადაც არ მოსცლია. რატომ თქვა ჰაბუჯმა. ვერ წამოვალ. ამის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა.

ბეროც გახდა პენსიონერი.

ჰაბუჯი კი... ჰაბუჯი აღარაა.

შეხმატკობილებული მეზობლის განმარტებით ძალიან დაღონდა ბერო. იცადა შინ და ჰაბუჯივით ამბობდა. ქვაყვითელი ვარ ჩემი პენსიითა. ვსეც იშვითად გამოდიოდა შინიდან. თვეში მგონი ერთხელ. მაშინ, როცა შემხანველ სალაროში პენსიის მიღების დროს ჰქონდა. აღარ ამბობდა ტრანსპორტს ფეხით სიარული მიჩრჩენიაო.

მისი შემხანვეული სალარო სახლიდან სწორედ ავტობუსის ერთი გაჩერებითაა დაშორებული. ავტობუსი ბეროს სახლს წინ ჩერდება. მერე სწორედ იმ შემხანველ სალაროს წინ, საიდანაც პენსიას იღებს ასე კარგად აიწყო მისი საქმე. შვევა სალაროში. ნაცნობი და უცნობი ყველა ჩამოეცლება ხოლმე. ურიგოდ უშვებენ. ზოგი ეუბნება ბიძიაო.

ზოგი ბაბუჯო, მობრძანდით, აიღეთო!

ბეროს უხარია ეს და გარშემო ყველას ლოცავს:

— ო, იცოცხლეთ. შეიღებო. დემტრია თქვენც ჩემი ხნისა მოგყაროთ.

აი, ერთ დღესაც ასეთი პატრის-ცემით შეხვდნენ. იქ მყოფთ ყველას გადაუხადა მადლობა და ნელა გამოვიდა გარეთ. ახლა ქუჩის მეორე მხარეზე უნდა გადავიდეს. იქ ჩერდება შინისაკენ მიმავალი ავტობუსი. გახვდა ქუჩას. როცა ცოტა ხნით შეწყდა მანქანების მოძრაობა, გადადგა ნაბიჯი. მაგრამ კანკალითა და შიშით. ხან მარჯვნივ იხედებდა, ხან მარცხნივ. ამ დროს ვიღაცა ამოუდგა მხარით. თან ხმა შემოესმა:

— ნუ გეშინია, ბაბუ!

იმედი მიეცა.

გაბედულად გაჰყვა უცნობს.

გადაიკვთა ქუჩა.

ბერომ გაჩერებას მიაშურა.

მოსაცდელთან დადგმულ სკამ-ძელზე ჩამოკადა.

ელის ავტობუსს.

ფიქრობს:

— როცა იქნება, ხომ მოვა.

ახლა გულში უბრალოდაც არ გაუვლია. შინ ფეხით უფრო მალე მივალა. სამაგიეროდ ამავე აღვლზე თქმული ჰაბუჯის სიტყვები მოაგონდა, ვერ წამოვალ. მაშინ ბერო არ დაელოდა ავტობუსს. ფეხით გაუტია. ახლა რომ ბეროს უთხრას ვინმემ, ფეხით წვივდივით. იტყვის. ვერ წამოვალ. ახლა იგრძნო თავი დამნაშავედ. ჰაბუჯი რომ მიატრავა.

— არც მე უნდა წავსულიყავი! — ეს სიტყვები ისე ხმაშიღა წარმოთქვა, რომ გვერდით მყოფთამაც კარგად გაიგონეს. გაუყვირდათ, ნეტავ სად უნდა წავსულიყო ეს ბერი-კაციო.


მხოლოდ თვითონ ბერომ იცოდა ის, რასაც ამბობდა. ოღონდ ძალიან გვიან კი გაიგო თავისი დანაშაული.

კროსვორდი

თარგუმულად: 6. XVII საუკ. საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერი, პირველი ქართული გრამატიკის შექმნელი; 8. კისრის გრძელი ბალანი ზოგ ცხოველზე; 9. ზღვის წვრილი თევზი; 10. პაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 11. გრძელი უტარო მათრახი; 13. ფირი; 15. დღე-ღამის გასაყარი; 19. უმწველი; 21. ფარული დაცინვა; 22. არგენტინის ქალაქი; 23. მწვემსების ცხოვრების თემაზე იდილიის მსგავსი ლექსი ანტიკურ და შემდეგ ევროპულ პოეზიაში; 25. ისტორიული სტრატეგიული პუნქტი დას. საქართველოში. ბიზანტიისა და ეგრისის ჩარების ერთ-ერთი მთავარი ბანაკი; 27. ღიად დატოვებული სივრცე; 29. თვე; 31. ქართველი საქადრაკო კომპოზიტორი; 32. ხის ავეჯის მკეთებელი ხელოსანი; 34. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 35. ღვინით მოვარე; 36. სანიმუშო ნაწარმოები — ხელოვნების, ოსტატობის უდიდესი მიღწევა.

შვეულად: 1. მუსიკა, მუკი; 2. კარის ან კიშკრის შიგნიდან დასაკეტი. გარდღარდმო გასაყრელი კეტი; 3. სახვენი ნიშანი; 4. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 5. 6. დუმბადის ნაწარმოების გმირი; 7. ქართლის მეფე IV საუკუნეში; 12. ვაზინგონის მუზეუმი, სადაც 1988 წ. გამოფენილი იყო ფიროსმანის ნახატები; 14. არქიტექტორი, 1859 წ. თბილისში კომუნარების ბაღის დამპროექტებელი; 16. ხის რკალზე ცალ მხარეს ტყავდაქარული საკრავი; 17. მევლისათვის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ნივთი. ქონება; 18. ქართული ხუროთმოძღვრების ძველი თბილისში; 20. ქართლის სოფელი; 24. საფრანგეთის კინოთეატრი, სადაც 1988 წ. უჩვენებდნენ ქართულ ფილმებს; 26. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 28. ჩლუნგი; 30. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ნაწილის ენა; 31. დანახარჯი ან რისხე ფასი, რაც შემდეგში უნდა გადაიხადონ; 33. ქალის თავსაბურავი.

შეადგინა ციალა ამაშუაქელმა



„დროშის“ მე-4 ნომერი მითაცნებული კროსვორდის პასუხები:

კორიგონებულად: 5. ფიზიოლოგია; 10. აირი; 11. ასათიანი; 15. თემა; 18. შევადიე; 19. შუბერტი; 20. ლიხვი; 21. ზადი; 22. ამაო; 23. დომენიკო; 26. გორა; 28. კლიო; 30. ფილტრი; 32. არმატი; 33. სამყარო; 34. სოია; 35. სიტუაცია; 39. ჩიტი; 40. სკეპტიკოსი.

ვერტიკალურად: 1. რიწა; 2. ღირა; 3. ყოფა; 4. ნირი; 6. ვახში; 7. ტრამვატოლოგია; 8. რეორგანიზაცია; 9. ლაქია; 12. საელჩო; 13. თომადე; 14. ნუში; 16. ალხი; 17. აბრა; 24. ნატურა; 25. კრისტტი; 27. ალაო; 28. კამა; 29. შანსი; 30. ფიტი; 31. ლოჭია; 35. სოკო; 36. ტიპი; 37. ცეკი; 38. აიხი.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ფოტო ბონდო დადვადისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: ჩვენთან არს ღმერთო! ფოტო გიორგი ცაგარელისა.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის კრ. 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეები — 98-28-42, რედაქციის საზედინოსი — 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მანალა ავტორს არ უბრუნდება.

გადაეცა წარმოებას 19.04.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.05.91. ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 29.000. შეკვეთა 848. ფასი 70 კაპ. საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 380009, თბილისი, 8, კოსტავას, 14.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.